

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ცაცა ჩხარტიშვილი

დიდი მხედართმთავარი – პეტრე  
ბაგრატიონი

მეომრის ბიბლიოთეკა №10

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მეათე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX საუკუნეებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია:

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი ლეილა ხურცია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლეილა ხურცია  
ყდის დიზაინი: გიორგი კიკნაძე

რედაქტორი: ნარგიზ ხარაბაძე

ტექნიკური რედაქტორი: მარი ჭონიშვილი

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

პეტრე ბაგრატიონის ბიოგრაფიის პირველ ავტორად ითვლება სამხედრო ისტორიკოსი ა. ვისკოვატოვი, რომელმაც 1838 წელს „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ აგვიტერა თითქმის ყველა ბრძოლა, რომელშიც ბაგრატიონი მონაწილეობდა, აღნიშნა მისი დამსახურება და ჯილდოები. პ. ბაგრატიონი მან ასე შეაფასა: „იგი იყო ერთ-ერთი ცნობილი და ბრწყინვალე გენერალი“.

საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსებმა განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარეს 1812 წლის სამამულო ომისა და კერძოდ, პ. ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურებათა ამსახველ დოკუმენტთა პუბლიკაციის საქმეში.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, 1945 წელს გამოქვეყნებული რუსეთის ცენტრალურ სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული მასალები და დოკუმენტები, რომლებიც შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ამავე არქივის ხელმძღვანელმა ნ. შლიაპნიკოვმა.

ქართულ ენაზე შედარებით საყურადღებო ნაშრომია პედაგოგ ივანე კუჭუხიძის წიგნი „პეტრე ბაგრატიონი“ (გამოცემულია 1953 წელს). მიუხედავად იმისა, რომ ი. კუჭუხიძე არც ისტორიკოსია და არც სამხედრო საქმის სპეციალისტი, მან შეძლო პ. ბაგრატიონის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული მოვლენების სწორად გადმოცემა.

პ. ბაგრატიონის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ქართულ ენაზე გამოქვეყნდა ნ. ნაკაშიძის, მ. ახობაძისა და სხვათა მცირე მოცულობის ნაშრომები, რომლებიც გათვალისწინებულია მკითხველთა ფართო წრისათვის.

საკმაოდ ფართო ადგილი აქვს დათმობილი ბაგრატიონის დამსახურებას პროფესორ ი. ანთელავას ნაშრომში „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“, რომელიც პირველად 1963 წელს გამოიცა, ხოლო მეორედ – 1984 წელს ქართულ და რუსულ ენაზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი რომ, ამ უკანასკნელში წინა ნაშრომთან შედარებით, მკაფიოდ არის ასახული პ. ბაგრატიონის როლი 1812 წლის საბრძოლო ოპერაციებში.

ასევე საყურადღებო ნაშრომებად უნდა ჩაითვალოს: შ. ახობაძის „დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი“, დ. გვრიტიშვილის „ბაგრატიონის უცნობი წერილები“, მ. გონიკიშვილის „ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში“, ნ. ნაკაშიძის „ბოროდინოს გმირი“. ჩამოთვლილ ავტორთა შორის მეტად საყურადღებოა შ. მეგრელაძის წიგნი „პეტრე ბაგრატიონი“, სადაც დაწვრილებით არის განხილული ბაგრატიონის სამხედრო მოღვაწეობა, მისი დამსახურება ბრძოლებში.

გარდა ამისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, წლების მანძილზე, თავი მოიყარა პ. ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველმა საკმაოდ საყურადღებო, დღემდე ჩვენი მკითხველისათვის უცნობმა ფოტომასალამ.

ჩვენ შევეცადეთ, გამოქვეყნებული მასალებისა და ლიტერატურის საფუძველზე, თავი მოგვეყარა პ. ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურების და ცხოვრების ამსახველი ძირითადი, საყურადღებო და დამახასიათებელი ცნობებისათვის. მკითხველისათვის საინტერესოა, აღბათ, ისიც, რომ

ბაგრატიონის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო მრავალი დოკუმენტი და მემუარები რევოლუციამდელი და საბჭოთა პერიოდის მკვლევართა ყურადღების გარეშე დარჩა.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი და ტრაგიკული ისტორია აქვს.

1801 წლიდან, რუსეთის მიერ, აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შემდეგ, სამეფო საგვარეულოს თითქმის ყველა წარმომადგენელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაასახლეს.

მოგვიანებით, იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცევისთანავე, სამეფო ტახტის ყველა მოსალოდნელ პრეტენდენტს იგივე ბედი ეწია – ისინიც რუსეთში, ძირითადად მოსკოვში, პეტერბურგში, ვორონეჟში, ბელგორდადში და სხვა ქალაქებში, ერთიმეორისაგან დაცილებულ ადგილებში დაასახლეს.

სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა საქართველოდან რუსეთში გაწვევა და იქ დასახლება მიზნად ისახავდა სამეფო ტახტის პრეტენდენტების სამშობლოდან მოცილებას.

რუსეთში გადასახლებული ქართველები იმპერიის სამსახურს შეუდგნენ. ბევრი მათგანი გამოჩენილი სამხედრო პირი გახდა და რუსეთის მთავრობის დიდი ნდობა და მაღალი ჩინი დაიმსახურა.

ქართველ მეფეთა საგვარეულოს შთამომავალი, პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი რუსეთის არმიის იმ მხედართმთავართა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დიდების ახალ საფეხურზე აიყვანეს სამხედრო ხელოვნება და დაიმკვიდრეს ლეგენდარული სარდლის უკვდავი სახელი.

პეტრე ბაგრატიონი დაიბადა 1765 წელს, ყიზლარში. მამამისი – ივანე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი – ქართველი მეფის ვახტანგ მეექვსის ძმის – იესეს შვილიშვილი იყო. პეტრე ბაგრატიონის პაპამ – ალექსანდრემ, სამხედრო პირმა, როდესაც პოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია, სამსახურს თავი დაანება და ყიზლარში დასახლდა. მისმა შვილმა ივანემ – პოლკოვნიკის ჩინით დატოვა სამხედრო სამსახური. პეტრე მაშინ დაიბადა, როცა მამამისი სეკუნდმაიორი იყო. მომდევნო წლებში ივანეს ვაჟიშვილები: ალექსანდრე და რევაზი შეეძინა. იმ ხანებში ყიზლარში, როგორც ახლად დაფუძნებულ ქალაქში, არ არსებობდა არც გიმნაზია და არც რაიმე სახის სამხედრო სასწავლებელი, სადაც ბაგრატიონის მშობლები შვილებს განათლებას მიაღებინებდნენ, ხოლო მოსკოვში, პეტერბურგსა და სხვა ცენტრალურ ქალაქებში შვილების გაგზავნის შესაძლებლობა მათ არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ბაგრატიონი უსწავლელი არ დარჩენილა. ვიდრე მამიდა პეტერბურგში დაპატიჟებდა, მას ოჯახში ქართული ტრადიციული აღზრდა მიუღია.

პეტრე ბაგრატიონის მიწერ-მოწერა იმ დროის გამოჩენილ მოღვაწეებთან და სხვა მასალა ადასტურებს, რომ მას ახალგაზრდობაში საკმაოდ საფუძვლიანი ზოგადი განათლება ჰქონდა მიღებული. მკვლევართა აღიარებით, მან ძალზე კარგად იცოდა რუსული ენა და მართლწერა. იგი წერდა და

ლაპარაკობდა ქართულ ენაზეც, რაც ტრადიციული ქართული საოჯახო აღზრდის ნაყოფი იყო.

პეტრემ, ისევე როგორც მისმა წინაპრებმა, ბავშობიდანვე გადაწყვიტა სამხედრო სამსახურში შესვლა. მისი მამიდა, ანა ალექსანდრეს ასული, რუსეთის კანცლერ ანდრია ბორისის ძე გოლიცინზე იყო გათხოვილი და, რაღა თქმა უნდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მთავრობის წარმომადგენელთა შორის. 1782 წელს 17 წლის პეტრე ბაგრატიონი მამიდასთან იმყოფებოდა პეტერბურგში. ერთ საღამოს, როცა ანა ალექსანდრეს ასული თავიანთი ახლობლის, იმ დროისათვის ყოვლისშემძლე თავად გრ. პოტიომკინის ოჯახში სტუმრად იმყოფებოდა, მან შესაფერის მომენტში საუბარი ჩამოაგდო და პოტიომკინს პეტრეს სამხედრო სამსახურში გამწესება სთხოვა. მასპინძელსა და სტუმრებს ძალიან მოეწონათ ახალგაზრდა, რომელიც რამდენიმე საათის შემდეგ სერუანტის ჩინით გამოისტუმრეს მამიდის სახლში. პეტრე ბაგრატიონი სწორედ ამ ჩინით გაიგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ მუშკეტერთა მეორე პოლკში\*, რომელსაც პოლკოვნიკი პიერი მეთაურობდა. ამ დროს რუსეთის სამხედრო ნაწილები ჩრდილოეთ კავკასიაში თავისუფლებისმოყვარე, დაუმორჩილებელი ჩეჩენების წინააღმდეგ იბრძოდნენ. 1783 წელს პეტრემ პირველად მიიღო ჩეჩენების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა და თავისი გაბედული, საზრიანი მოქმედებით ხელმძღვანელობის ყურადღება მიიყრო, რითაც პრაპორშიკის ჩინი დამსახურა. იგი რამდენიმე წელს იღებდა მონაწილეობას ჩრდილო კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში და წინდახედული, მამაცი მებრძოლი თანდათანობით იხვეჭდა სახელს.

1785 წელს ერთ-ერთი გააფორმებული ბრძოლის დროს, პრაპორშიკი პეტრე დაიჭრა. ჭრილობა საკმაოდ სერიოზული იყო. მან გაქცევა ვეღარ შეძლო და მებრძოლთა გვამებს შორის დაეცა. შებინდებისას ჩეჩენებმა დახოცილთა ძარცვა დაიწყეს. ისინი ბრძოლის დროს დაჭრილ პეტრეს წააწყდნენ და ტყვედ წაიყვანეს. მალე ცნობილი გახდა ტყვედ ჩავარდნილი პრაპორშიკის ვინაობა, ამიტომ მამამისის ზათრითა და მანსურ მაგომას მითითებით, დაჭრილს განსაკუთრებულად უვლიდნენ, მალე გამოაჯანმრთელეს და ყიზლარში გაუშვეს მამიდასთან. გამოჯანმრთელებული პეტრე კვლავ თავის ნაწილს დაუბრუნდა.

ბრძოლაში გაწაფულმა და საკმაოდ გამოცდილმა პეტრემ მონაწილეობა მიიღო 1787-91 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. იგი 1783 წელს ოჩაკოვთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში წინა ხაზზე იყო და პირველი შეიჭრა ციხესიმაგრეში. ამ საბრძოლო ოპერაციაში მან თავისი სიმამაცითა და შეუდრევებულობით პირველად მიიყრო რუსეთის არმიის მთავარსარდლის თავად პ. პოტიომკინის ყურადღება და კაპიტნის ჩინი მიიღო.

1790 წელს უკვე საკმაოდ ცნობილი კაპიტანი ბაგრატიონი კავკასიაშია და მონაწილეობას იღებს მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1793 წელს პ. ბაგრატიონი უკვე პრემიერ-მაიორია. თურქეთთან და ჩრდილო კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისა და გამბედაობისათვის რამდენჯერმე მიიღო ჯილდო. იგი 1794 წელს პოლონეთის წინააღმდეგ

მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობდა, ამჯერად გამოჩენილი მხედართმთავრის ა. სუვოროვის<sup>1</sup> ხელმძღვანელობით.

პოლონეთის კამპანიაში მისი უკანასკნელი ბრძოლა 24 სექტემბერს გაიმართა პრაღასთან, სადაც მან ჩვეული, სწრაფი, ერთსულოვანი შეტევით უკუაქცია მოწინააღმდეგის ცხენოსანთა შენაერთი და გაქცეულებს ვისლამდე სდია, რისთვისაც დიდი მხედართმთავრის ფელდმარშალ\* ა. სუვოროვის პირადი მადლობა დაიმსახურა. იგი დაუახლოვდა ევროპაში სახელმოწვევილ ფელდმარშალს, ბევრი რამ ისწავლა და გადაიღო მისგან, რასაც შემდგომში სიამაყის გრძნობით იგონებდა. ამ ხნის განმავლობაში სუვოროვი დარწმუნდა, რომ მას დიდი მომავლის მქონე, მხედართმთავრული ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე, რომლისთვისაც გზა უნდა მიეცა სამხედრო ნიჭის გამოსამჟღავნებლად. 1798 წელს ბაგრატიონი პოლკოვნიკი გახდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1799 წელს, 34 წლის ვაჟკაცს უკვე გენერალ-მაიორის სამხრები ამშვენებდა.

1789 წელს საფრანგეთში რევოლუციამ გაიმარჯვა. ახალი ქვეყნის წინააღმდეგ ევროპის მონარქები დაირაზმნენ. შეიქმნა კოალიცია, რომლის მიზანი იყო საფრანგეთში მონარქის აღდგენა. ფრანგი ხალხი რევოლუციური მონაპოვრის დასაცავად აღდგა.

1798 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ ახალი კოალიცია შეიქმნა ინგლისის, ავსტრიის, თურქეთის, რუსეთისა და ნეაპოლის მონაწილეობით. ამ კოალიციის ძირითადი ძალა ინგლისის, რუსეთის და ავსტრიის კავშირი იყო. იმავე წლის ბოლო დღეებში პეტერბურგში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც რუსეთს ევროპაში საფრანგეთის წინააღმდეგ საექსპედიციო კორპუსი\* უნდა გაეგზავნა, ინგლისის სამხედრო ხარჯები უნდა გადაეხადა; ჯარი გამოჰყავდა ავსტრიასაც. მოკავშირებმა, ინგლისის მთავრობის მეთაურის პიტის წინადადებით, თხოვნით მიმართეს რუსეთის მთავრობას, რათა შეერთებული ჯარების მთავარსარდლად პავლე პირველის მიერ შერისხული და პეტერბურგიდან გადასახლებული ფელდმარშალი ა. სუვოროვი დაენიშნა. რუსეთის იმპერატორი იძულებული გახდა მხედართმთავარი გადასახლებიდან დაებრუნებინა. იმპერატორის მიერ შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი 69 წლის ფელდმარშალი თავის მამულში, სოფ. კონჩანსკოეში ატარებდა მოხუცებულობის უკანასკნელ დღეებს. იგი განაწყენებული იყო იმპერატორ პავლე პირველის მოქმედებით, მაგრამ ახალმა ამბავმა გაახარა და სიცოცხლის წადილი გაუღვიძა. დედაქალაქში მას დიდი ზეიმით და იმედით შეხვდნენ. სუვოროვი მიიღო თვით იმპერატორმაც. ფელდმარშალი დაეთანხმა იმპერატორს შეერთებული ძალების მთავარსარდლად დანიშვნაზე, მხოლოდ ბრძოლის ველზე თავისუფალი, დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ითხოვა. პავლე პირველი, ამჯერადაც იძულებული იყო თანხმობა განეცხადებინა. რუსეთის კორპუსის გარდა, სუვოროვს დაუმორჩილეს ავსტრიის არმია 86 ათასი მეომრით. ფელდმარშალი სუვოროვი, როგორც შეერთებული ძალების მთავარსარდალი, საჩქაროდ ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უნდა ჩასულიყო. რუსეთს იტალიაში 65 ათასი მებრძოლი უნდა გაეგზავნა. თავის მხრივ,

ავსტრიას საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა მოზრდილი არმია. საფრანგეთის არმიის 235 ათასი ჯარისკაცი უკვე ბრძოლებში იყო ჩაბმული პოლანდიიდან ხმელთაშუა ზღვამდე. შეერთებული ძალების მთავარსარდალმა სუვოროვმა პეტრე ბაგრატიონს ავანგარდის\* მეთაურობა ჩააბარა, რომლის მოქმედებაზეც ბევრად იყო დამოკიდებული რუსეთის არმიის წინსვლა. როცა სუვოროვი 1799 წლის 14 მარტს ვენაში ჩავიდა, ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ამ ბრძოლებში ავსტრიის ჯარი დამარცხდა. სუვოროვის ხელმძღვანელობით რუსეთის ჯარმა ოთხი თვის განმავლობაში 400 კმ. გაიარა ფრანგებისაკენ. 1799 წლის 11 აპრილს გენერალ პ. ბაგრატიონის ავანგარდი სისხლისმდვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ბრეშის ციხესიმაგრესთან. აქ ქართველი გენერალი ფეხში დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ბრძოლის შედეგად ათასზე მეტი ტყვე და 46 ზარბაზანი იგდეს ხელთ. მოკავშირეებმა ბრეში დაიკავეს, ეს იყო მათი პირველი გამარჯვება იტალიაში. 13 აპრილს ბაგრატიონმა ქ. ბერგამი აიღო, 15 აპრილს თავისი ავანგარდით დაეწია რამდენიმე დღის უკანდახეულ გენერალ სერიურიეს დივიზიას და 12-საათიანი ბრძოლის შემდეგ ფრანგები სასტიკად დაამარცხა ქ. ლეკოსთან. ბაგრატიონმა ქალაქი დაიკავა. მისი გმირობის ამბავი მოკავშირეთა ჯარებში ყოველდღიურ სალაპარაკო თემად იქცა. სუვოროვი ვერ მალავდა აღტაცებას გენ. ბაგრატიონის საზრიანი და გაბედული მოქმედების გამო.

1799 წლის 6-8 ივნისს გენ. ბაგრატიონმა კვლავ გამოიჩინა თავი მდინარე ტრებთან გამართულ ბრძოლაში. აქ მან გადამწყვეტი შეტევის დროს ჯარის სუვოროვისეული მანევრირება გამოიყენა. ბრძოლაში პირველი ჩაება ბაგრატიონის ავანგარდი. სუვოროვის არმია სამი კოლონით უტევდა და შემუშავებული გეგმის თანახმად, მტრის განლაგების სიღრმეში შეიჭრა. ბრძოლა მოწინააღმდეგის განადგურებით დამთავრდა. ამ გამარჯვებისათვის იმპერატორმა პავლე პირველმა ბაგრატიონი წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. იმპერატორისადმი გაგზავნილ ყველა პატაკში მთავარსარდალი სუვოროვი ხაზს უსვამს გენერალ ბაგრატიონის მამაცობას. იტალიის კამპანიაში გმირობისა და თავის გამოჩენისათვის სუვოროვმა პეტრე ბაგრატიონს საკუთარი ხმალი აჩუქა. სახელოვანი მასწავლებლის საჩუქარს მამაცი გენერალი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა.

რუსეთის არმიის იტალიაში გამარჯვებამ მოკავშირეთა – ინგლისისა და ავსტრიის – მმართველ წრებში უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია. მათ ეშინოდათ რუსეთის გაძლიერებისა და თანაც სუვოროვის გამარჯვებით მაქსიმალურად უნდოდათ ესარგებლათ. ამ მიზნით მათ ახალი გეგმა წამოაყენეს: იტალიაში უნდა დარჩენილიყო ავსტრიის ჯარი, სუვოროვის არმია კი შვეიცარიისაკენ უნდა წასულიყო, რათა იქ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ გენ. რიმსკი-კორსაკოვის კორპუსს შეერთებოდა.

1799 წლის ბოლოს დაიწყო სუვოროვის არმიის ლეგენდარული ლაშქრობა იტალიიდან შვეიცარიაში. არმიის ავანგარდს კვლავ ბაგრატიონი მეთაურობდა. რთულ ბუნებრივ პირობებში დაიკავა მან სენ-გოტარდის ურთულესი უღელტეხილი, დაძლია მტრის წინააღმდეგობა „ეშმაკის ხიდთან“ და

უზრუნველყო არმიის შვეიცარიაში გადასვლა. თვით შვეიცარიაში გადალახა როსტიკის უღელტეხილი და მუტენის დაბლობში გავიდა. ამ გზაზე მანამდე არც ერთ არმიას არ გაევლო. ამ დროს რიმსკი-კორსაკოვის კორპუსი ფრანგებმა შეავიწროვეს და სუვოროვის განადგურებაც გადაწყვიტეს. რუსეთის არმია ავსტრიელთა ღალატის შედეგად ალყაში აღმოჩნდა. სურსათ-სანოვაგე გათავდა, შველა კი არსაიდან ჩანდა. ურთულეს პირობებში ალყიდან გასვლა უშუალოდ პეტრე ბაგრატიონის ხელმძღვანელობით განხორციელდა. იგი გაიჭრა მრაველის მთით გლარისაკენ, საიდანაც თოვლიან მთებში გზა გაიკაფა. გლარისთან ბაგრატიონი მესამედ დაიჭრა მსუბუქად, მაგრამ ამას ლაშქრობაში ხელი არ შეუშლია. ფელდმარშალმა სუვოროვმა გენერალისიმუსის\* წოდება მიიღო. ასეთი დიდი ლაშქრობის შემდეგ არმია რუსეთისაკენ გაემართა. 70 წლის მთავარსარდალი ავადმყოფი ბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ გახარებული იყო, რომ თავის მოწაფესთან – ბაგრატიონთან ერთად უახლოვდებოდა პეტერბურგს. შუალამე გადასული იყო, როცა სუვოროვი პეტერბურგში შევიდა. იქ მას არავინ დახვედრია, გარდა იმპერატორის შიკრიკი დოლგორუკოვისა, რომელმაც მოახსენა: „თქვენო ბრწყინვალებავ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მიერ დავალებული მაქვს გადმოქცეთ, რომ გენერალისიმუს, თავად სუვოროვს აკრძალული აქვს იმპერატორის სასახლეში შესვლა“. ამასთანავე მოახსენეს, რომ ჩატარებული ბრძოლების შესახებ ანგარიში უნდა წარედგინა ხელმწიფისთვის. სუვოროვს არც ეს გადაწყვეტილება მოეწონა და განაცხადა: „მე ვემზადები ანგარიში ჩავაბარო ღმერთს, ხელმწიფეზე ახლა ფიქრიც არ მინდა“. სუვოროვმა იცოდა იმპერატორის უკმაყოფილება, მაგრამ ამგვარ შეურაცხყოფას მაინც არ მოელოდა.

სუვოროვისა და კუტუზოვის<sup>2</sup> შემდეგ გენ. ბაგრატიონი ყველაზე დამსახურებულ და გამოჩენილ მხედართმთავრად იყო აღიარებული. პეტერბურგში დაბრუნებულ ომგადახდილ გმირს იმპერატორიც, სამეფო კარის წარმომადგენლებიც და საზოგადოებაც კარგად შეხვდნენ. ყველა ნატრობდა ლეგენდარული გენერლის ნახვას. ყველას აინტერესებდა მისი გაცნობა. ბაგრატიონის საბრძოლო დამსახურებით კმაყოფილმა იმპერატორმა 1800 წლის აპრილში დიდი სოფელი უბოძა მას ლიტვის გუბერნიაში.

საბრძოლო დიდებით შემკულ გენერალს სრულებით არ აინტერესებდა მამულები, ნაბოძებ სოფლებს არც კი მოინახულებდა ხოლმე და მიღებისთანავე ჰყიდდა. ასევე მოიქცა ამჯერადაც. მას არც სოფლის და არც ყმა-გლეხის მოვლა-პატრონობა შეეძლო და არც ამისი დრო ჰქონდა. ლეგენდარული ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, იგი პეტერბურგში ცხოვრობდა და თითქმის ყოველთვის ესწრებოდა მეჯლისებსა და საღამო-ზეიმებს. „საღამოს მაგიდასთან“, როგორც მაშინ სასახლის ვახშამს უწოდებდნენ, ყოველთვის ეპატიუებოდნენ 12-20 პიროვნებას. მათ შორის ყოველთვის იყო ბაგრატიონიც. საღამობით სპექტაკლებსა და ბალ-მასკარადებს მართავდნენ, რომელსაც ხშირად პეტერბურგის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები და იმპერატორის ახლობლები ესწრებოდნენ. ერთხელ, ასეთი გართობისას, სახელგანთქმული

ბაგრატიონი პეტერბურგელმა ახალგაზრდა ლამაზმა ქალიშვილმა ეკატერინე პავლეს ასულმა სკავრონსკაიამ შენიშნა. იგი მდიდარი და ცნობილი, სამეფო კართან დაახლოებული მშობლების ასული იყო. მისი დედა – სეფექალი ეკატერინე ვასილის ასული – იმპერატრიცა ეკატერინე II-ის უახლოესი და უფლებამოსილი ფავორიტის გრ. პოტიომკინის დისტვილი, ფრიად გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა სასახლეში. მამა – პავლე მარტინის ძე სკავრონსკი, იმპერატორის ოჯახის ნათესავი იყო და ამავე დროს ზღაპრულად მდიდარი, ადრე ნეაპოლში რუსეთის ელჩად მსახურობდა. მშობლების სიმდიდრითა და დედისაგან შთამომავლობით თანდაყოლილი სილამაზის გამო, ეკატერინე პავლეს ასული მთელ პეტერბურგში ერთ-ერთ საუკეთესო საპატარძლოდ იყო აღიარებული. ერთ-ერთ მეჯლისზე მეფის სასახლეში, გრაფის ახალგაზრდა ასულს პეტრე მოეწონა და მისი გაცნობა გადაწყვიტა. პეტრემ ეს შენიშნა და წასვლა დააპირა. ლამაზმა ქალიშვილმა დაივიწყა იმ დროს მაღალ წრეებში მიღებული წესი, გაეშურა კარისაკენ, გზა გადაუჭრა პეტრეს და მომხიბლავი ხმით უთხრა: „თავადო, მამაც გენერალს არ შეშვენის სუსტ არსებასთან უკან დახევა“. ასე მოხდა მათი გაცნობა, მაგრამ გაირკვა, რომ ეკატერინეს პეტრეს ცოლობა არ სურდა. საბოლოოდ კი მეფის ბრძანებით, მათი ქორწინება მაინც შედგა. მეჯვარე თვით იმპერატორი პავლე I იყო. ქორწინების შემდეგ, ბაგრატიონმა შეიტყო, რომ სუვოროვი უკანასკნელ დღეში იყო და სიკვდილს ებრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს ყველასათვის აკრძალული ჰქონდა ავადმყოფის ნახვა, ბაგრატიონი მაინც ხშირად იყო მასთან. სუვოროვი მალე გარდაიცვალა. იმპერატორის ბრძანებით იგი ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს.

პირად ცხოვრებაში პეტრე ბაგრატიონს ბედმა არ გაუღიმა. ქორწილის შემდეგ, მთელი ერთი თვის მანძილზე, იგი ცდილობდა საერთო ენის გამონახვას მეუღლესთან, მის მრავალრიცხოვან გავლენიან ნათესავებსა და ახლობლებთან, მაგრამ ამაოდ 1800 წლის ნოემბერში ბაგრატიონი მეუღლითურთ პეტერბურგში დაბრუნდა. ეკატერინე პავლეს ასული დროს მხიარულად ატარებდა ახლობლებსა და მეგობრებში, ცდილობდა მეუღლისაგან განცალკევებით ყოფილიყო. ეკატერინე სკავრონსკაიასთან ნაცნობ-მეგობართა სტუმრობას ბოლო არ უჩანდა. იგი თავისი მზითვის ფულს თვითონვე ხმარობდა. ბაგრატიონი კი, თუმცა, როგორც ეგერთა\* ლეიბ-გვარდიული ბატალიონის\* შეფი, დიდ ხელფასს იღებდა – 2280 მანეთს წელიწადში, მაგრამ მდიდრული, ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა და ყოველთვის ვალებში იყო. ეკატერინეს ერთი სული ჰქონდა, როგორმე მეუღლე დაეტოვებინა და საზღვარგარეთ წასულიყო. 1805 წელს ევროპაში საერთაშორისო ვითარება დაიძაბა. პეტრე ბაგრატიონმა ბრძოლის ველს მიაშურა, მეუღლემ კი დრო იხელთა და საზღვარგარეთ გაემგზავრა, რათა შემდგომში საბოლოოდ დაშორებოდა ბაგრატიონს.

1799 წლის 9 ნოემბერს საფრანგეთში გადატრიალება მოხდა – დირექტორია დაემხო, ნაპოლეონი<sup>3</sup> პირველი კონსული გახდა. 1804 წ. საფრანგეთი იმპერიად გამოცხადდა, გენერალი ნაპოლეონი კი იმპერატორად.

1805 წლის 11 აპრილს ინგლისსა და რუსეთს შორის საფრანგეთის საწინააღმდეგო ხელშეკრულება დაიდო. ნაპოლეონის წინააღმდეგ ევროპის უპირველესი სახელმწიფოები დაირაზმნენ. მათი მიზანი იყო საფრანგეთის ჯარების განდევნა იტალიიდან, ჰანოვერიდან, ჩრ. გერმანიდან, პოლანდიდან და შვეიცარიდან. ინგლის-რუსეთის ამ კავშირს შეუერთდა ავსტრია, შვედეთი და ნეაპოლის სამეფო. ამრიგად, შეიქმნა საფრანგეთის საწინააღმდეგო – რიგით მესამე კოალიცია.

1805 წლის 10 აგვისტოს რუსეთის ჯარი კუტუზოვის მეთაურობით ავსტრიის საზღვარზე გადავიდა და ულმისაკენ გაემართა. ამ დროს ნაპოლეონის არმია ბულონში იდგა და ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას აპირებდა. ავსტრიის 46 ათასიანი არმია კუტუზოვის მისვლამდე დამარცხდა. კუტუზოვმა გზაში შეიტყო ავსტრიელთა კაპიტულაცია, გადაწყვიტა უკან დახევა და გენერალ ბუკსგევდენის 45 ათასიან კორპუსს შეუერთდა. კუტუზოვის არმიას უკან დახევისას შეუერთდა ავსტრიელთა მცირერიცხოვანი შენაერთები. იგი მდ. ენსთან აპირებდა ნაპოლეონის არმიის შეჩერებას. ასეთ რთულ და, შეიძლება ითქვას, გამოუვალ მდგომარეობაში ავსტრიელებმა კუტუზოვის არმია მიატოვეს. 24 ოქტომბერს ფრანგებმა ბაგრატიონის არიერგარდს\* შეუტიეს ამშტეტნთან. მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებს ბაგრატიონის არიერგარდმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მალე კუტუზოვიც მოვიდა დამხმარე ძალით არიერგარდის საბრძოლო პოზიციებთან. ბრძოლა რუსთა სასარგებლოდ წარიმართა. კუტუზოვმა დაუბრკოლებლად განაგრძო უკანდახევა, კრემსთან მარშალ მორტიეს დივიზია დაამარცხა და მდ. დუნაი გადალახა. ყველა გადასასვლელი ხიდი დაწვეს, რათა ნაპოლეონის არმიის მდინარეზე გადმოსვლა შეფერხებულიყო. ნაპოლეონმა ხიდებისა და ვენის აღება სახელგანთქმულ მიურატს<sup>4</sup> დაავალა. მიურატმა მართლაც აღასრულა თავისი იმპერატორის ბრძანება.

ვენის ხიდის აღების შემდეგ, ფრანგებმა კუტუზოვისათვის გზის მოჭრა გადაწყვიტეს და დიდი სისწრაფით გაეშურნენ ცნაიმისკენ. კუტუზოვი მიხვდა, რომ ფრანგების ავანგარდი მოასწრებდა ხსენებულ პუნქტში შესვლას და არმია დაიღუპებოდა. საჭირო იყო მიურატის შეჩერება მანამ, სანამ რუსეთის ჯარი ცნაიმისაკენ მიმავალ გზას არ გასცდებოდა. მიურატის შეჩერება ძნელი და თითქმის წარმოუდგენელი, მაგრამ აუცილებელი იყო. ამ რთული ამოცანის შესრულება ბაგრატიონს დაევალა. დაყოვნება საქმეს ავნებდა. ბაგრატიონი მსწრაფლ მოქმედებაზე გადავიდა – თავისი ჯარით გოლაბრუნისაკენ დაიძრა. 3 ნოემბერს ბაგრატიონი თავისი შენაერთით დანიშნულ ადგილზე იყო. 2 ნოემბერს ფრანგებმა შეტევა დაიწყეს. ცხარე ბრძოლების შედეგად ბაგრატიონის შენაერთები ფრანგებმა ალყაში მოაქციეს. რუსმა მეომრებმა საზრიანი და გამბედავი მეთაურის წყალობით ფრანგთა გარემოცვა გაარღვიეს და უკანდახევა იწყეს. ნაპოლეონის ბრძანებით ფრანგებმა ბრძოლა შეწყვიტეს. ბაგრატიონმა უკან დაიხია და ველზე 2402 მებრძოლი და მთელი არტილერია დატოვა. ფრანგთა არმია რამდენჯერმე აღემატებოდა ბაგრატიონის შენაერთს, მაგრამ მისმა სამხედრო ნიჭმა და შეუდრეკელობამ თავისი გაიტანა. ფრანგებმა ვერ

შეძლეს არიერგარდის გარშემორტყმა და ტყვედ წაყვანა. ბაგრატიონმა 50-ზე მეტი ტყვე და ფრანგების ერთი ალამიც იგდო ხელო.

ბაგრატიონი ამ ბრძოლიდანაც გამარჯვებული გამოვიდა. მან გარდაუვალი დამარცხებისაგან იხსნა თავისი არიერგარდი და უზრუნველყო არმიის უკანდახევაც. ამ ბრძოლისათვის იგი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის მეორე ხარისხის ორდენით და მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 18 ნოემბერს ბაგრატიონმა მოულოდნელი და სწრაფი იერიშით ქ. ვიშაუ აიღო, კუტუზოვის არმია კი ქ. ოლმიუცში შევიდა. აქ რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორები – ალექსანდრე პირველი და ფრანცი იმყოფებოდნენ, რომელთა სამხედრო საქმეებში ჩარევამ, როგორც შემდეგში დავინახავთ, მოკავშირეთა შეერთებული ძალების დამარცხება გამოიწვია. კუტუზოვი მიხვდა, რომ ნაპოლეონთან ბრძოლა რუსეთის არმიას კარგს არას მოუტანდა. მისი აზრით, ფრანგებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ნაპოლეონის არმიას ყოველმხრივი უპირატესობა ჰქონდა კუტუზოვის არმიასთან შედარებით. ასეთ ვითარებას დაერთო ისიც, რომ საომარი მოქმედების გეგმების შემუშავება და ხელმძღვანელობა იმპერატორებმა აიღეს ხელში. ალექსანდრე I და ფრანცი სამხედრო ხელოვნების ცოდნას მოკლებულნი იყვნენ. ორივე იმპერატორი დაუინებით მოითხოვდა ნაპოლეონის არმიასთან გენერალური ბრძოლის გამართვას. ბრძოლაში გამოცდილმა ფელდმარშალმა კუტუზოვმა სწორად შეაფასა სიტუაცია, გაითვალისწინა თანაფარდობაც და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია იმპერატორთა გადაწყვეტილებას. კუტუზოვის გეგმით, არმია კარპატებისაკენ უნდა წასულიყო, შეეტყუბინა ნაპოლეონის ძალები და მხოლოდ ამის შემდეგ გადასულიყო კონტრშეტევაზე. სხვაგვარ გამოსავალს ფელდმარშალი ვერ ხედავდა. კუტუზოვის გეგმა იმპერატორებმა არ მოიწონეს. ალექსანდრე პირველს რუსეთის არმია უძლეველი ეგონა, თანაც დარწმუნებული იყო, რომ პრუსია შეუტევდა ნაპოლეონის არმიას, მეორე მხრივ ფრანცი არწმუნებდა, რომ ნაპოლეონის არმიის დამარცხება არ გაუჭირდებოდათ მოკავშირეების საერთო ძალებს. ალექსანდრე I-ის აზრს იზიარებდა ყველა, ვისაც საქმისა არაფერი გაეგებოდა. კუტუზოვის გეგმის დაწუნებისთანავე ალექსანდრე პირველმა და ფრანცმა მთავარსარდალს თავს მოახვიეს ავსტრიელი გენერლის ვეიროტერის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის განხილვაზეც ბაგრატიონი არ გამოცხადდა, კუტუზოვს კი დემონსტრატიულად ემინა. ბაგრატიონს მაინც გააცნეს ვეიროტერის გეგმა, რომელიც მან დაიწუნა და თქვა: „ჩვენ ბრძოლას წავაგებთ“.

კუტუზოვი დარწმუნდა, რომ თავის აზრსა და გადაწყვეტილებას ვერ გაიტანდა და საბრძოლველად მოემზადა. 1805 წლის 2 დეკემბერს ვენიდან ჩრდილოეთით, 120 კმ. დაშორებით, სოფ. აუსტერლიცთან მოხდა სისხლისძვრელი ბრძოლა. საფრანგეთის არმიას თვით ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა, რომელმაც კარგად გამოიყენა მოკავშირეთა ჯარების არაორგანიზებული მოქმედება და ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. ბაგრატიონს ამ ბრძოლაში არმიის მარჯვენა ფრთა ებარა და გააფირებული ებრძოდა ფრანგებს. ბაგრატიონი ერთადერთი იყო აუსტერლიცთან ბრძოლაში,

რომელმაც გაუძლო ლანის, ნანსულისა და სხვა გენერლების ჭარბი ძალების შემოტევას. ბრძოლის ველზე 15 ათასი რუსი და ავსტრიელი მებრძოლი დაეცა, 20 ათასი ტყვედ ჩავარდა, თითქმის მთელი არტილერია ფრანგებს ჩაუვარდათ ხელში. მთავარი მაინც ის იყო, რომ არმია დამარცხდა და დაიშალა. სამი იმპერატორის ბრძოლა ნაპოლეონის გამარჯვებით დამთავრდა.

1806 წლის ივლისისათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა გაუარესდა. აუსტრიულიცთან დამარცხების შედეგად, ავსტრიას ბრძოლის უნარი აღარ ჰქონდა და იძულებული გახდა საფრანგეთან ზავი დაედო. რუსეთის არმიის დამარცხებით შეურაცხყოფილი აღექსანდრე პირველი ნაპოლეონისათვის სამაგიეროს გადახდას ფიქრობდა და მოკავშირებს ეძებდა, რათა გაერთიანებული ძალებით შეეტია ნაპოლეონის არმიისათვის. ინგლისი მზად იყო რუსეთის მხარე დაეჭირა, მაგრამ მას ჯარის გამოყვანა არ შეეძლო და მხოლოდ მოკავშირეთა დაფინანსებას კისრულობდა. რუსეთს ესაჭიროებოდა პრუსიის მოკავშირეობა, ვინაიდან მას 150-ათასიანი არმიის გამოყვანა შეეძლო.

1806 წელს შეიქმნა საფრანგეთის საწინააღმდეგო მეოთხე კოალიცია რუსეთის, ინგლისის, პრუსიისა და შვედეთის შემადგენლობით. ინგლისი ამჯერადაც მოკავშირეთა დაფინანსებას კისრულობდა. ძირითადი ცოცხალი ძალები რუსეთსა და პრუსიას უნდა გამოეყვანა. ნაპოლეონი აღშფოთებული იყო პრუსიის მიერ რუსეთის მხარდაჭერით. 1806 წლის 8 ოქტომბერს საფრანგეთის 195 ათასიანი არმია საქსონიის ტერიტორიაზე შეიჭრა. ნაპოლეონმა სწრაფად გაანადგურა პრუსია და დაიკავა ბერლინი. რუსეთის არმია იძულებული გახდა უკან დახევა დაეწყო, რაც წარმატებით ხორციელდებოდა პ. ბაგრატიონის საარიერგარდო ბრძოლებით. 8 თებერვალს პროისიშ-აილაუსთან სისხლისძგრელი ბრძოლების შედეგად, როდესაც ნაპოლეონი დამარცხებულად თვლიდა თავს, მთავარსარდალმა ბენიგსენმა უკან დახევა ბრძანა. ხოლო 1807 წელს გადამწყვეტ ბრძოლაში ფრიდლანდთან გამარჯვება ნაპოლეონს დარჩა, რომელმაც რუსეთს თავს მოახვია ტილზიტის ზავი. რუსეთი კონტინენტალურ ბლოკადაში აღმოჩნდა.

ტილზიტის სამარცხვინო ზავის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ ომის დაწყება გადაწყვიტა შვედეთის წინააღმდეგ, რათა იმპერიის ტერიტორია გაეფართოვებინა შვედეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის ხარჯზე. ფინეთი მაშინ შვედეთის შემადგენლობაში შედიოდა. იქ მოქმედ კორპუსში, რომელსაც გენერალი ფ. ბეკვეგსვედენი მეთაურობდა, ერთ დივიზიას სათავეში პ. ბაგრატიონი ედგა. როულ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ, ბაგრატიონმა დაიკავა ქალაქი ტამერთორსი და ბერნებერგი. შვეციის არმია გათიშული აღმოჩნდა. ბაგრატიონის შეტევის შესაჩერებლად შვედებმა ორჯერ გადასხეს დესანტი რუსეთის არმიის ზურგში და ქ. აბო დაიკავეს, მაგრამ ბაგრატიონმა სწრაფად გაანადგურა შვედები. 1809 წელს შეტევა განახლდა შვედეთზე, რუსეთის არმია სამ კორპუსად გაიყო. ბაგრატიონი ერთ-ერთ მათგანს მეთაურობდა.

25 მარტს 17 000 მებრძოლით, ალანდის კუნძულების გავლით, მან სტოკოლმზე ლაშქრობა დაიწყო. ბაგრატიონმა გაიარა ისეთი რთული გზა,

სადაც არასოდეს არც ერთ არმიას არ გაევლო, რის შედეგად შვედებს ალყის საშიშროება შეექმნათ, ისინი უწესრიგოდ გარბოდნენ, მათი დედაქალაქისაკენ გზა ხსნილი იყო. შვედები იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ და რუსეთისათვის ფინეთი და ალანდის კუნძულები დაეთმოთ.

ამ ლაშქრობაში წარმატებისათვის პ. ბაგრატიონმა ინფანტერიის გენერლობა, ე. ი. სრული გენერლის ჩინი დაიმსახურა. შვედეთთან ომის დამთავრების შემდეგ, პ. ბაგრატიონი მოლდავეთის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა. ეს არმია ბალკანეთში მოქმედებდა, მისი მოღვაწეობა მთავარსარდლის თანამდებობაზე დაემთხვა ბალკანეთის ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას თურქეთის წინააღმდეგ. მისი მოღვაწეობა მოლდავეთის არმიაში მთავარსარდლის თანამდებობაზე იმითაა საინტერესო, რომ იგი აქ პირველად მეთაურობდა არმიას და, სამხედრო საქმეების გარდა, პოლიტიკურ საკითხებს წყვეტდა. ომის დამთავრება თურქებთან მ. კუტუზოვს მოუხდა, რომელმაც ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1812 წელს რუსეთზე ლაშქრობის წინ, ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების გაფორმება შეძლო.

კონტინენტალურ ბლოკადაში ჩაბმული რუსეთი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა და იგი არღვევდა ტილზიტის ზავს. მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ნაპოლეონს კი ესმოდა, რომ მის გეგმებს წინ რუსეთი ეღობებოდა.

1811 წლის ბოლოსათვის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. რუსეთის დასავლეთ საზღვრებთან ნაპოლეონმა 200-ათასიანი არმია დააბანაკა. აღმოსავლეთ პრუსია და ვარშავის საპერცოგო საფრანგეთის ჯარებით აივსო. აქვე იყო სურსათ-სანოვაგისა და არტილერიის უზარმაზარი საწყობი, რაც ნათლად მეტყველებდა საომარი მოქმედების მოახლოებაზე. ომის დაწყების წინ, ნაპოლეონი ყოველთვის ინტერესდებოდა, თუ როგორი მხედართმთავარი ჰყავდა მოწინააღმდეგეს, როგორი ორგანიზაცია იყო სარდლობაში, ძლიერი იყო თუ არა მთავარსარდალი? 1812 წლის ომის წინ, ნაპოლეონი მისთვის საინტერესო ზემოაღნიშნულ კითხვებს დაბეჯითებით პასუხობდა: რუსებს ჰყავთ მხოლოდ ერთი, ნამდვილი, კარგი გენერალი ბაგრატიონი, მაგრამ მას მეორეხარისხოვანი როლი აკისრია. ბენიგსენი უნიჭოა და ისიც მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. კუტუზოვი ნაპოლეონმა აუსტერლიცთან დაამარცხა, მაგრამ აბუჩად არასდროს იგდებდა, მას ეშმაკ, წინდახედულ წინამდლოლად თვლიდა. ბარკლაი-დე-ტოლზე<sup>5</sup> ცნობები არ ჰქონდა, მას საშუალო გაქანების გენერლად თვლიდა, რომელზეც ფრანგები დიდი წარმოდგენის არ იყვნენ. მეორე კითხვაზე დაბეჯითებით პასუხობდა, რომ რუსეთის არმიაში არ იყო ერთმმართველობა. ორგანიზაცია სარდლობაში საერთოდ მოისუსტებდა. სამხედრო საქმეებში იმპერატორი ერეოდა, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა რას აკეთებდა. ნაპოლეონმა ყველაფერი ეს კარგად იცოდა და ამიტომაც არ ეშინოდა ომის დაწყების.

ბაგრატიონმა მომავალი საომარი მოქმედების გეგმა შეადგინა და იმპერატორს გაუგზავნა. გეგმა შეტევითი სულისკვეთებით იყო შედგენილი. მასში დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი არმიის მატერიალურ მომარაგებასა და რეზერვის მომზადებას. გეგმა არ იქნა მიღებული, თუმცა, სამხედრო

სპეციალისტების აზრით, ბაგრატიონის მიერ შედგენილი გეგმა ბევრ სერიოზულ მოსაზრებას შეიცავდა. საომარი მოქმედება კარზე იყო მომდგარი და რუსეთის არმიას სამხედრო გეგმა არ გააჩნდა. არ იყო დანიშნული არმიის მთავარსარდალი.

1812 წლის მარტში რუსეთის სამხედრო მინისტრი, ინფანტერიის გენერალი ბარკლაი-დე-ტოლი დაინიშნა დასავლეთის პირველი არმიის მთავარსარდლად, იმავე დროს, იგი დარჩა სამხედრო მინისტრადაც. სამხედრო მინისტრის საქმეებს დროებით, ბარკლაი-დე-ტოლის არმიაში ყოფნისას, გენ. ა. გორჩაკოვი აწარმოებდა. დუნაის არმიის მთავარსარდლად მ. კუტუზოვი დაინიშნა, დასავლეთის მეორე არმიის მთავრსარდლობა ბაგრატიონს ებობა, გენ. ა. ტორმასოვი<sup>6</sup> მესამე სარეზერვო არმიის მთავარსარდალი გახდა. რუსეთის არმიას ოთხი მთავარსარდალი ჩაუდგა სათავეში. ერთმმართველი მთავარსარდალი კი, როგორც აღინიშნა, საომარი მოქმედების პირველ ეტაპზე რუსეთს არ ჰყოლია. მთავარსარდლის როლს, როგორც დასავლეთის პირველი არმიის უფროსი, ბარკლაი-დე-ტოლი ასრულებდა, თუმცა ალექსანდრე პირველი ერეოდა ყველა საქმეში.

24 ივნისს ალექსანდრე პირველის პატივსაცემად გამართულ ბალს პირველი არმიის თითქმის ყველა გენერალი ესწრებოდა. გვიან ღამით იმპერატორს აცნობეს ფრანგების გადმოსვლა ნემანზე. ნაპოლეონმა გამოუცხადებლად დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ.

ნაპოლეონის 520-ათასიანმა არმიამ ნემანი გადმოლახა. დამატებითი სამხედრო ძალების მიღების შედეგ საფრანგეთის არმია 580 ათას მებრძოლს ითვლიდა. ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ დასავლეთის საზღვრებთან 205-210-ათასიანი სამი დამოუკიდებელი არმია იდგა. დასავლეთის 140-ათასიანი არმია ბარკლაი-დე-ტოლის მეთაურობით ნემანზე იყო განლაგებული. მის შეიარაღებაში 558 ზარბაზანი შედიოდა. დასავლეთის 50 ათასიანი მეორე არმია პოდოლსკის არმიის ბაზაზე იყო ჩამოყალიბებული და პ. ბაგრატიონი მეთაურობდა. ამ არმიას 180 ზარბაზანი ჰქონდა და ვოლკოვისკის მიდამოებში იდგა. დასავლეთის მესამე არმია 45 ათას მებრძოლს ითვლიდა. მის შეიარაღებაში 165 ზარბაზანი შედიოდა. ეს არმია სარეზერვო იყო და ამიტომ, მეორე არმიიდან დიდი მანძილით 200-კმ-დე მოცილებით იდგა ლუცკის რაიონში. ამ არმიას გენერალი ტორმასოვი მეთაურობდა. არმიის მთავარსარდალი არ იყო დანიშნული და ფაქტობრივად იმპერატორი განაგებდა სამხედრო ოპერაციების ბედ-ილბალს.

საფრანგეთის არმია თანდათან მიიკვლევდა გზას რუსეთის შუაგულისაკენ. ნაპოლეონს ძალების სიჭარბის გამო დასავლეთის ორივე არმია უკან იხევდა დრისის ბანაკისაკენ, რაც გენერალ ფულეს გეგმით იყო გათვალისწინებული. ნაპოლეონს ორივე არმიის ცალ-ცალკე განადგურება ჰქონდა განზრახული. ფრანგთა ჭარბი ძალები ფეხდაფეხს მისდევდნენ უკანდახეულ ბაგრატიონის არმიას. 28 ივნისს ბაგრატიონმა სოფ. მირთან გაანადგურა ფრანგების ავანგარდი, რომელსაც ვესტფალიის მეფე იერონიმი მეთაურობდა. ბაგრატიონის არმია ორგანიზებულად იხევდა უკან და ხშირად დიდ ზარალსაც აყენებდა მოწინააღმდეგეს. 11 ივლისს სალტანოვკასთან დავუს<sup>7</sup> 60-ათასიან არმიას

ბაგრატიონის არმიაში შემავალი რაევსკის 10 ათასიანი კორპუსი ებრძოდა. ბაგრატიონი აღტაცებული იყო რაევსკის<sup>8</sup> კორპუსის გმირობით და კორპუსი ერთი დივიზიით გააძლიერა. მეორე დღეს დავუს 60 ათასიან არმიას მარშალ მორტიეს კორპუსი შეუერთდა. 13 ივლისს გათენებისას ბაგრატიონის არმიამ დნეპრი გადალახა და სმოლენსკის გზას დაადგა. მალე რაევსკის კორპუსიც შეუერთდა ბაგრატიონის არმიას. ბაგრატიონის არმიის შეერთება ძირითად ძალებთან თთქმის შეუძლებელი იყო. ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ მეორე არმია ვერ შეძლებდა პირველ არმიასთან შეერთებას და გადაწყვეტილი ჰქონდა ბაგრატიონის არმიის განადგურება. ნაპოლეონის იმედები არ გამართლდა. ბაგრატიონმა დიდი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს და ძირითად ძალებსაც შეუერთდა. პეტერბურგში კვლავ ბაგრატიონის გმირობაზე ალაპარაკდნენ. მართლაც, ბაგრატიონის უშუალო დამსახურება იყო ორივე არმიის დანიშნულ ადგილზე შეერთება.

ბაგრატიონი დარწმუნებული იყო თავისი მოქმედების სისტორეში. ალექსანდრე პირველისა და მისი მთავარი ბანაკის შეხედულების მიუხედავად, იგი ხშირად დამოუკიდებლად წყვეტდა საომარი მოქმედების საკითხებს. იგი უკმაყოფილო იყო ბარკლაი-დე-ტოლის გაუთავებელი უკანდახევითაც. ამისათვის ხშირად აკრიტიკებდა კიდეც მას. ბაგრატიონის არმიის ძირითად ძალებთან შეერთებით განრისხებული ნაპოლეონი სმოლენსკს უახლოვდებოდა. 4 აგვისტოს მან სმოლენსკისათვის ზარბაზნების დაშენა და შემდეგ ქალაქის აღება ბრძანა. ქალაქი ხანძარში გაეხვია. ნაპოლეონის არმია სმოლენსკის მისადგომებთან გამაგრდა. 5 აგვისტოს დილიდან ფრანგებმა შეტევა განაახლეს. ღამით რუსეთის არმიამ სმოლენსკი დატოვა. ქალაქი ფრანგებმა დაიკავეს. სმოლენსკის დატოვების გამო, ბაგრატიონსა და ბარკლაი-დე-ტოლს შორის ურთიერთობა კვლავ დაიძაბა. პეტერბურგში ბევრი საჩივარი მიდიოდა ბარკლაი-დე-ტოლზე. იგი რუსეთის არმიის მთავარსარდლად არ იყო დანიშნული, მაგრამ როგორც სამხედრო მინისტრი და პირველი არმიის მთავარსარდალი, ფაქტობრივად მთელ არმიას ხელმძღვანელობდა. ალექსანდრე I-ს არ უნდოდა მისი შეცვლა ახლით, მაგრამ არმია და პეტერბურგის საზოგადოება მის გადაყენებას მოითხოვდა. სმოლენსკის დატოვების შემდეგ კი, ახალი მთავარსარდლის დანიშვნა აუცილებელი გახდა.

როგორც მოსკოვის გუბერნატორის თ. როსტოპჩინის<sup>9</sup> ჩანაწერებიდან ირკვევა, ბევრ გავლენიან გენერალს, კუტუზოვისათვის დაუვალებია იმპერატორისათვის ეთხოვა ბარკლაი-დე-ტოლის შეცვლა ბაგრატიონით. არმიაში ზოგი ბენიგსენის<sup>10</sup> მომხრე იყო, მაგრამ მეტი წილი გენერლებისა ბაგრატიონის კანდიდატურას უჭირდა მხარს. ბაგრატიონის სამხედრო ნიჭისა და დიდებას ევროპა იცნობდა, მაგრამ მთავარსარდლად მისი დანიშვნა ალექსანდრე პირველმა არ ისურვა, რადგან „მისი გვარი ისევე, როგორც ბარკლაისა, არ იყო რუსული“.

17 აგვისტოს რუსეთის არმიის მთავარსარდლად კუტუზოვი დაინიშნა. 67 წლის მ. კუტუზოვმა მთავარსარდლობა ჩაიბარა და საფრანგეთის არმიასთან გენერალური ბრძოლისათვის მზადებას შეუდგა. ნაპოლეონის არმია

საგრძნობლად იყო შემცირებული. სმოლენსკის დაკავების შემდეგ იგი მხოლოდ 180 ათასამდე მებრძოლს ითვლიდა. ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონმა რამდენჯერმე შესთავაზა ალექსანდრე პირველს ზავი, მაგრამ პასუხი არც ერთხელ არ მიუღია. ალექსანდრე პირველი განერალური ბრძოლის გამართვას მოითხოვდა. ახალმა მთავარსარდალმა კუტუზოვმა ნაპოლეონის არმიასთან გენერალური ბრძოლის ასპარეზად ბოროდინოს ველი აირჩია. 22 აგვისტოს მოწინააღმდეგებმა ბოროდინოსთან საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. ნაპოლეონის არმია 135 ათას კაცს ითვლიდა. მის განკარგულებაში 587 ზარბაზანი იყო. რუსეთის არმია კი 132 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა. მათ შეიარაღებაში შედიოდა 624 ზარბაზანი. რუსეთის არმიის მარჯვენა ფრთასა და ცენტრს ბარკლაი-დე-ტოლი ხელმძღვანელობდა. ყველაზე სუსტი მარცხენა ფრთა, როგორც კუტუზოვი ატყობინებდა იმპერატორს, ბაგრატიონს ებარა. 24 აგვისტოს ფრანგების ავანგარდმა შევარდინოში განლაგებულ 12 ათას მებრძოლს შეუტია. სისხლისმღვრელ ბრძოლაში ფრანგებმა მაშველი ძალები მიიღეს, მათი რიცხვი 40 ათასამდე გაიზარდა. ნაპოლეონის ჭარბმა ძალებმა შევარდინო დაიკავეს. ბაგრატიონი თვითონ ჩაება ბრძოლაში, წინ გაუძღვა ჯარს და შევარდინო უკან დაიბრუნა. ბრძოლამ გვიან საღამომდე გასტანა. ბოლოს კუტუზოვმა ძირითად პოზიციებზე დახევა ბრძანა. ბაგრატიონმა უკან დაიხია. 25 აგვისტოს ორივე მხარე კვლავ საბრძოლო პოზიციებს ამაგრებდა და გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა. 26 აგვისტოს კვლავ განაახლეს ბრძოლა.

ფრანგების მხრიდან, ბრძოლას განთქმული მხედართმთავრები მეთაურობდნენ. საერთო ხელმძღვანელობას კი თვით საფრანგეთის იმპერატორი ახორციელებდა. დილით, პირველი შეტევა დავუმ წამოიწყო 25-ათასიანი კორპუსით. 102 ზარბაზანი შეუნელებლივ უშენდა ცეცხლს რუსთა მარცხენა ფრთას, რომელსაც ბაგრატიონი იცავდა 8-ათასიანი შენაერთით. დავუ მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და კონტუზის მიღების შემდეგ დატოვა ბრძოლის ველი. ფრანგების მეორე იერიშსაც არ მოჰყოლია შედეგი. ოუმცა მარცხენა ფლეში\* აიღეს, მაგრამ ბაგრატიონის მებრძოლთა გმირულმა კონტრშეტევამ უკუაქცია მოწინააღმდეგეთა რიგები. ფრანგთა მესამე შეტევით, მარცხენა და მარჯვენა ფლეშები იქნა აღებული, მაგრამ ბაგრატიონმა კვლავ დაიბრუნა დაკარგული პოზიცია. ჯერ ისევ 9 საათი იყო, მაგრამ ფრანგები მეოთხედ გადავიდნენ შეტევაზე. ჭარბი ძალების სწრაფი შეტევით ფლეშები კვლავ დაიკავეს. მთავარსარდლის მიერ გამოგზავნილი დამშმარე რეზერვის საშუალებით, ბაგრატიონმა ფრანგებს შეუტია და აღებული ფლეშები დაატოვებინა. ბაგრატიონი თავგანწირული იბრძოდა იმ დღეს. მას ვერ წარმოედგინა ბრძოლის ველზე დამარცხება. ნაპოლეონი მთელ ძალას ბაგრატიონის წინააღმდეგ მიმართავდა, რომელმაც რამდენიმე შეტევა მოიგერია, მაგრამ ფრანგებმა 45-ათასიანი შენაერთით მიიტანეს იერიში ბაგრატიონის პოზიციებზე. იგი 18 ათასი მებრძოლით უნდა გამკლავებოდა ჭარბ ძალებს. ბაგრატიონმა ნაპოლეონის მოიერიშებს დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა. ბრძოლის ველს მაინც არ ტოვებდა, სანამ სისხლიდან დაცლილი

ცხენიდან არ ჩამოვარდა. ბაგრატიონისათვის ეს მეხუთე ჭრილობა უკანასკნელი აღმოჩნდა. 27 აგვისტოს ბაგრატიონი მოსკოვში წაიყვანეს. მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა, ტკივილები აწუხებდა, ციებ-ცხელება დაემართა, მადა დაეკარგა და უძილობა დასჩემდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, პ. ბაგრატიონზე 1812 წლის სამამულო ომის საკითხებზე მომუშავე ავტორებს შორის შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა დიდი მხედართმთავრის ჭრილობისა და გარდაცვალების თაობაზე. ამ მითქმა-მოთქმას ნათელი მოპოვინა იაკობ გოვოროვის წიგნმა, (რომელიც პეტრეს გარდაცვალებიდან 3 წლის შემდეგ დაიბეჭდა) „თავად პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სიცოცხლის უკანასკნელი დღენი“. წიგნში სწორადაა შეფასებული დიდი მხედართმთავრის პ. ბაგრატიონის სამხედრო მოღვაწეობის მნიშვნელობა. ეს მთელ წიგნში შეიმჩნევა, განსაკუთრებით, ბაგრატიონის ავტორისეული დახასიათებისას. მკვლევართათვის ცნობილია, თუ როგორ არ ეთმობოდა პ. ბაგრატიონს ბრძოლის ველი, რა შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსემ დატოვა ის დაჭრილმა. ამასთან დაკავშირებით, თვითმხილველის გადმოცემით, მეტად საინტერესო ფაქტს ვეცნობით: „თავადმა იმ დროს მიატოვა ბრძოლის ველი, როცა ფრანგთა თავგანწირული სულისკვეთება უკვე შერყეული იყო და მათი ჯარის კოლონები უკანდასახევად იყვნენ მზად“. გოვოროვის სიტყვით: „თავადი გულისტკივილით ტოვებდა დიდებისა და პატივის ველს, მზერა ერთთავად ბრძოლის ველისათვის მიეპყრო, საკუთარი ჭრილობა დავიწყებოდა და ირგვლივ გამსკდარი ჭურვებისა და ფინდიხის წვიმაში კვლავ ბრძოლას ხელმძღვანელობდა. ბრძოლის ველზე დარჩენილ გენერლებს სხვადასხვა განკარგულებებს უგზავნიდა და მათგან ელოდა პასუხს. შეუხვეველი ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, სრულ გამარჯვებას ელოდა, რომლითაც უნდა დაგვირგვინებულიყო ჩენი ლაშქრის უმაგალითო გმირობა. მაგრამ ბატონი ადიუტანტები რაკი ხედავდნენ, რომ თავადი სისხლისაგან იცლებოდა, ექიმს ეძებდნენ მის დასახმარებლად.

მაშინ, მე, – წერს გოვოროვი, – პირველად ვეახელი მას. გულმოდგინედ, გაუსინჯე გასისხლიანებული ფეხი და ჭრილობის სიღრმისა და სიგანის გამოკვლევის შემდეგ, მივხვდი, რომ წვივის წინაძვალი იყო დაზიანებული. ზონდირებით მოგვრილმა გაუსაძლისმა ტკივილმა მიახვედრა თავადი, რომ ჭრილობა მძიმე იყო. ჯარის მთავარი სამედიცინო ინსპექტორის, ბატონ ვ. ი. ვილიეს მობრძანებით თავადმა ძალზე გაიხარა. მან ხელმეორედ გასინჯა, გაასუფთავა და გადაუხვია ჭრილობა, რის შემდეგაც თავადი მოსკოვს გაემგზავრა. მოჟაისქს რამდენიმე ვერსით გაცდა თუ არა, მეორე დღეს, 27 აგვისტოს, ჯარში გამომიგზავნა ადიუტანტი და თავისთან მიხმო. მეთაურის თანხმობით პოლკი მივატოვე და მის დასახმარებლად გავეშურე. მძიმე მდგომარეობაში დამიხვდა, ხურვებაშეყრილს მჩხვლეტავი ტკივილები საშინელ ტანჯვას აყენებდა, მადა დაპკარგვოდა, პირველი დამე უძილოდ გაეტარებინა.

28 აგვისტოს, საღამოს მე და ბატონმა განგარტმა, დასავლეთის არმიის მთავარმა ექიმმა, რომელიც თავადის პირადი ექიმი გახლდათ, შევუხვიერ ჭრილობა, რომელიც ჯერ კიდევ ანთებითი იყო, ხურვება გრძელდებოდა, თუმცა

ტკივილი ოდნავ ჩაცხრა, იმ ცხელი საფეხბის წყალობით, წინა დღეს რომ ვიხმარეთ. მეორე დღეს, 29 აგვისტოს, გადახვევისას ჭრილობაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ჩირქი, ჭრილობის კიდეები შეშუპებული იყო და ანთება მთელ ნაწილს მოსდებოდა. თავადის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

აგვისტოს 30-ს ძალზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი თავადი მოსკოვში ჩავიდა. გზაში რამდენიმეჯერ მიხმო გაუსაძლისად მტკივანი დაჭრილი ფეხის გასასწორებლად. თითქოს მთელი დღე გრძელდებოდა ქანცის გამწყვეტი ხურვება. პულსი ძალზე აჩქარებული ჰქონდა, წყურვილის გრძნობა კი დაუოკებელი. საღამოთი იგი ინახულა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა, ფ. ე. როსტოპინმა და როცა შეიტყო, რომ ჭრილობის და საერთოდ, მთელი ორგანიზმის მდგომარეობა სავალალო იყო, თვითონ ითავა სახელოვანი ექიმის, პროფესორის, ჰილდებრანტის მოწვევა. პეტრეს იმედი გაუჩნდა და ასე მიმართა ექიმს: „ბატონო ექიმო!.. ამ ჭრილობამ უკვე სიცოცხლის ნახევარი წამართვა, იმედი უნდა ვიქონიო თუ არა განკურნებისა და რამდენად სწრაფად შეიძლება ეს მოხდეს. ჩემი ექიმების ხელოვნებაში ეჭვი არ შემპარვა, მაგრამ ჩემი სურვილია, ყველამ ერთად მიმკურნალოთ. ამ მდგომარეობაში აჯობებს სამ გამოცდილ ექიმს დავეყრდნო და არა ორს“. პეტრემ ექიმისაგან იმის დაპირება მიიღო, რომ მას იმედს არ გაუცრუებდნენ. ის დღე მან შედარებით კარგად გაატარა. საღამოს, ფეხის გადახვევის დროს აღმოჩნდა, რომ ჭრილობა ადრინდელთან შედარებით გაუმჯობესებული არ იყო. ამას ისიც დაერთო, რომ პეტრემ წამლების სმა შეწყვიტა. ღამე ძალზე ცუდად გახდა, აუტანელი ტკივილები აწუხებდა. გოვოროვი წერდა: დამამშვიდებლად თაფლიან წყალთან ერთად კატაბალახას ნაყენი მივეცი, რამაც ოდნავ დაამშვიდა და ჩათვლიმა კიდეც. გზის გაგრძელება აუცილებელი გახდა, რამაც იგი ძალიან გატანჯა. იძულებული გავხდით სერგიევსკის ლავრაში შევჩერებულიყავით. საღამოს ჭრილობის გადახვევის დროს, დავინახეთ, რომ ჩირქმა სახე იცვალა. წვივის ძვალი ზედ შუა ნაწილში ირიბად დაზიანებული ჩანდა. ჭრილობის ამგვარმა მდომარეობამ გვაიძულა უკიდურეს საშუალებაზე – წვივის მოკვეთის ოპერაციაზე გვეფიქრა. როცა თავადს მოვახსენეთ ოპერაციის შესახებ, მან უარი განაცხადა. „თქვენი მედიცინა არც ისე ღარიბია, რომ ჩემს სნეულებას ვერ უწამლოს. ამიტომ მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ უოპერაციოდაც შევძლებ განკურნებას“. თავადისაგან ასეთი გადამწყვეტი პასუხის მიღების შემდეგ, ჩვენმა საერთო სამედიცინო კონსილიუმმა დაასკვნა, რომ თავადის დათანხმება ოპერაციაზე შეუძლებელი იქნებოდა. მდგომარეობა კი უარესდებოდა. ვთხოვე ნებართვა, ჭრილობა გაგვეფართოებინა, რომ ჩირქს თავისუფლად ედინა, დაზიანებული ძვალი ჭურვის ნამსხვრევისაგან გაგვეთავისუფლებინა და ჭრილობაში ჩარჩენილი უცხო სხეული ამოგველო. მაგრამ გოლიცინის მამულში, სოფელ სიმში მისვლამდე ეს პროცესი გადაიდო.

8 სექტემბერს გაკეთდა მცირე ოპერაცია, გასუფთავდა ჭრილობა, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო, აუცილებელი გახდა ფეხის მოკვეთა იმიტომ, რომ უკვე განგრენის ნიშნები შეიმჩნეოდა. თავადმა ისევ უარი განაცხადა

ოპერაციაზე. სიცოცხლის სიყვარული თავადს უკარნახებდა წამლები ესვა, მაგრამ პირდაპირ აცხადებდა, რომ ისინი ნაკლებად რგებდა მას. იგი ორონიული ღიმილით ეუბნებოდა ექიმებს: „თქვენი მედიცინა, როგორც ჩანს, მხოლოდ ჯანმრთელებს რგებს. პეტრე მხოლოდ ერთი „წამლის“ კმაყოფილი იყო (ეს იყო წყალში გაზავებული შამპანური). თავადი მპირდებოდა, ომის დამთავრების შემდეგ ჩემთან ერთად კავკასიის წყლებზე გამგზავრებას. 10 სექტემბერს თავადი პეტრე ძალიან სევდიანად გამოიყურებოდა, მისი სხეულისაგან მხოლოდ ჩინჩხი დარჩა, გამომშრალი, დანაოჭებული კანის მიღმა მხოლოდ ძვლები მოუჩანდა. ერთ-ერთი გადახვევის დროს, თავადმა მითხრა, წერს ექიმი, „მხოლოდ ღმერთის იმედილა უნდა მქონდეს, მე მხოლოდ მის წმიდა განაჩენს ველი“.

მთელი ღამე თავადს არ მოვშორებივარ. მესმოდა ხშირი, ღრმა, ლოცვისმაგვარი ოხვრა, ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა და ეკრუნჩხებოდა სახე. პულსი სუსტი და ტალღოვანი იყო.

11 სექტემბერს დილიდანვე თავადმა თავისი ადიუტანტი ბატონი ბრეჟინსკი იხმო და დიდხანს ელაპარაკა, როგორც თავის სანდო კაცს.

ამის შემდეგ, ხელმოსაწერად შემოუტანეს პეტრბურგში გასაგზავნად გამზადებული რაღაც ქალალდები. თავადმა რამდენიმე ბრძანება გასცა, რაც უშუალოდ მის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. შემდეგ კი ექიმები მიგვიწვიეს გადასახვევად. თავადმა კი ასე გვითხრა: გადაწყვეტილი მაქვს დღეიდან აღარ მივიღო წამლები, საკმარისია. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ. ახლა უფლის ნებასლა ვემორჩილები. ამ სიტყვების შემდეგ, თავადმა ღრმად ამოისუნთქა და სუსტი ხმით წარმოთქვა: „ღმერთო ჩემო, ჩემო მხსნელო!“ ვამჩნევდი, როგორ ეფინებოდა სახეზე შავი ნაღველი, თვალებში თანდათან ჩაუქრა სიცოცხლე, ტუჩებზე სილურჯე გადაეკრა. მთელი დღის განმავლობაში არ მიუღია წამალი, გარდა სასმელისა, რომელიც ესოდენ სიამოვნებდა.

მდგომარეობის გაუარესების გამო თავადს მოვახსენე: „თქვენო ბრწყინვალებავ, ხშირად ღვთის მადლი სასწაულებრივად მოქმედებს სნეულზე, ამიტომ ხომ არ ინებებდით მღვდელი გვეხმო წმინდა ზიარების მისაღებად?“ „დიახ! კარგად მესმის ეს რასაც ნიშნავს... მე მუდამ მართლმორწმუნე ქრისტიანი ვიყავი. უბრძანეთ, ახლავე მოიყვანონ მღვდელი. ამ პასუხში ჩანს თავად ბაგრატიონის პიროვნება და დიდებული ქრისტიანის მართლმორწმუნე სული.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელი წუთის მოლოდინში გულგრილმა სიმშვიდემ გაუნათა თავადს ნაწამები სახის ყოველი ნაკვთი. თითქმის უკვე მოუთმენლად და კმაყოფილებით ეწადა განეშორებინა ყოფიერების წარმავლობის სამოსი და მარადიულით შემოსილიყო. საღამოს 9 საათზე თავადმა ქრისტიანის ყოველი უკანასკნელი ვალი მოიხადა. დასუსტებულს ენა ებმოდა. ღამე აუტანელ ტანჯვაში გაატარა. 12 სექტემბერს ლეთარგიამ დილიდანვე წაართვა თავადს მგრძნობელობის უნარი. დღის პირველ საათზე იგი გარდაიცვალა.“

მისი სიკვდილისთანავე სიმში მივიდა მეორე არმიის შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სენ-პრი<sup>11</sup>, რომელიც ჭრილობის გამო ვლადიმირის გუბერნიაში, სიმთან ახლოს სოფელში მკურნალობდა. მანვე ითავა დასაფლავების ორგანიზაცია.

პეტრე ბაგრატიონის ყოფილი ადიუდანტი, გამოჩენილი გენერალ-ლეიტენანტი და პარტიზანული ბრძოლების ორგანიზატორი დენის დავიდოვი<sup>12</sup> 27 წლის განმავლობაში იბრძოდა მხედართმთავრის ნეშტის ბოროდინოს ველზე გადასვენებისათვის. 1839 წლის ივნისში დ. დავიდოვმა თავისი საყვარელი გენერლის ნეშტის ბოროდინოში გადასვენების ნებართვა მიიღო, მაგრამ მალე თვითონაც გარდაიცვალა და ბაგრატიონის ნეშტის გადასვენებას ვერ მოესწრო. 1839 წლის 26 აგვისტოს, კიევის ჰუსართა<sup>\*</sup> პოლკის თანხლებით, ბაგრატიონის ნეშტი ბოროდინოს ველზე გადასვენეს. ბაგრატიონის ცხედარი დაკრძალულს იმ ძეგლის კვარცხლბეკის ქვეშ, რომელიც ბოროდინოს გმირთა სამახსოვროდ იყო აგებული. მან სამუდამო ბინა დაიდო ბოროდინოს ველზე, სადაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ნაპოლეონის არმიას და თვითონაც სასიკვდილოდ დაიჭრა. მის საფლავს 73 წლის განმავლობაში ამშვენებდა წარწერა: „ინფანტერიის გენერალი თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი მეთაურობდა დასავლეთის მეორე არმიას, დაიჭრა ბოროდინოს ბრძოლაში 1812 წლის 26 აგვისტოს. გარდაიცვალა ჭრილობისაგან 1812 წლის 12 სექტემბერს 47 წლისა“. მისი სახელი მიენიჭა ევერთა მეექვსე პოლკს, რომელსაც იგი მეთაურობდა სუვოროვის ლაშქრობის დროს.

ამრიგად, თავისი ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი სიცოცხლის გზაზე, პეტრე ბაგრატიონმა, როგორც სარდალმა და როგორც ადამიანმა, უდიდესი სიმამაცით გადაიტანა მსოფლიოს სამხედრო ისტორიაში მანამდე გაუგონარი უსასტიკესი და უმძაფრესი ბრძოლები და გადალახა ბუნებრივი და ხელოვნური დაბრკოლებებით აღსავსე გრძელი გზები.

ბაგრატიონმა მონაწილეობა მიიღო 20 დიდ ლაშქრობაში და 150 ბრძოლაში. ამ ბრძოლებში იგი ხუთჯერ დაიჭრა, მაგრამ მწყობრიდან არასდროს გამოსულა. ვიდრე ბოლოს, 1812 წელს ბოროდინოს ველზე მიღებული ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა.

ბაგრატიონის მიერ განვლილ ცხოვრების გზას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ იგი დაბადებული იყო მხოლოდ სამხედრო საქმისათვის. ერთ სიმღერაში იგი „ლაშქრის ღმერთად“ იხსენიება. მისი ადიუდანტის, ცნობილი პარტიზანისა და პოეტის დენის დავიდოვის გადმოცემით, ბაგრატიონს გამომუშავებული ჰქონდა არიერგარდული ბრძოლებისა და მოძრაობის საკუთარი ტაქტიკა. არიერგარდული ბრძოლების წარმოების შესახებ, თვით ბაგრატიონი შემდეგს ამბობდა: „თუ შეებმები მოწინააღმდეგეს ბრძოლაში, – მთავარ ძალებს ჩამოშორდები და მტერს თავს ჩაუგდებ გასანადგურებლად, თუ მოერიდები ბრძოლას, – მტერს საშუალებას მისცემ მთავარ ძალებს წამოეწიოს“. მაშასადამე, რთულ საარიერგარადო ბრძოლაში, ბაგრატიონის აზრით, საჭიროა რაღაც განსაკუთრებული საშუალო ხაზი, თავისებური ალლო, რათა არც მტერს ჩაუგარდე და არც მთავარ ძალებთან მიუშვა ის. ასე მოქმედებდა ყოველთვის

ბაგრატიონის ხელმძღვანელობით არიერგარდი, რომელიც მოგერიებით პოზიციებზე დიდხანს არასოდეს არ ჩერდებოდა, მუდამ მოძრაობდა, ერთი თავდაცვითი პოზიციიდან მეორეზე, ბრძოლით იხევდა და საერთო ბრძოლაში ებმებოდა, თუ ეს გამოწვეული არ იყო აუცილებლობით. იგი ყოველთვის ცდილობდა მტრისთვის საშუალება არ მიეცა მთავარ ძალებს იმ მანძილზე მიახლოებოდა, რომელზედაც არტილერიის ცეცხლით ზიანს მიაყენებდა. მთავარი ძალების თავისუფალი უკანდახევითი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მდევარი მტრის ყოველთვის ასეთ მანძილზე შეჩერება არიერგარდის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა დიდ სიფხიზლეს, შორსმხედველობას, მოსაზრების სიმახვილეს და მოქნილობას, რითაც ბაგრატიონი, დავიდოვის სიტყვით, უხვად იყო დაჯილდოებული. სწორედ მისი ამ ღირსებით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველგან, — იტალიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, პრუსიაში თუ რუსეთში, — მძიმე არიერგარდული ან ავანგარდული ამოცანების შესრულება ყოველთვის მას ევალებოდა, და ისიც ბრწყინვალედ, შეიძლება ითქვას, შეუდარებლად ასრულებდა მეტად პასუხსაგებ ამოცანებს.

მისი ერთ-ერთი დიდი ღირსება იყო ერთი თვალის გადავლებით პოზიციის სწორად შეფასება და მისი სუსტი და ძლიერი მხარეების სწრაფი აღქმის უნარი, რაც მან არაერთხელ გამოამჟღავნა ბრძოლის ველზე.

იმ ბრძოლებში, რომელშიც ბაგრატიონი მონაწილეობდა იგი პირველი შეებმოდა მტერს და უკანასკნელი ტოვებდა ბრძოლის ველს. მას ბრძოლის ველზე, თითქმის ყოველთვის, საქმე ჰქონდა თავის დროის საუკეთესო სარდლებთან, რომლებსაც ხშირად თვით ნაპოლეონი ხელმძღვანელობდა, მაგრამ არასოდეს არავისთვის არაფერი დაუთმია.

თვით სუვოროვი აშკარად ხედავდა ბაგრატიონის სამხედრო ნიჭის, მამაკობას, დიდად ენდობოდა და ფრიად პასუხსაგებ დავალებებს აძლევდა მას.

სუვოროვი იცნობდა ბაგრატიონს არა მარტო როგორც მარჯვე და გულად მხედართმთავარს, არამედ, როგორც საიმედო სამხედრო ხელმძღვანელსაც. ამ მხრივ საინტერესოა ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: 1799 წლის 30 მაისს სუვოროვი ბაგრატიონს სპეციალურ წერილს უგზავნის და ავალებს გრაფ ბელაგრდის ხელმძღვანელობით მოქმედ ავსტრიელთა ჯარის ნაწილებს, რომ პირადად მან, ბაგრატიონმა გადასცეს და შეათავსებინოს სუვოროვისებური „გამარჯვების მეცნიერება“, „სუვოროვისებური ბრძოლის ტაქტიკა“. ეს იყო უდიდესი ნდობა გამოჩენილი მხედართმთავრისა თავისი მოწაფისადმი.

მკითხველისათვის უდაოდ საინტერესო იქნება ცალკე განვიხილოთ ბაგრატიონის მხედართმთავრული თვისებები, რომელთა წყალობით იგი გახდა შესანიშნავი სარდალი.

მშობლების მოკრძალებულმა მატერიალურმა მდგომარეობამ არ მისცა საშუალება მომავალ გენერალს მიეღო საჭირო სამხედრო განათლება. ამას, სხვათაშორის, ხშირად ხაზს უსვამდნენ მისი მტრებიც და მეგობრებიც, მაგრამ ბაგრატიონს გავლილი ჰქონდა დიდი მხედართმთავრის სუვოროვის მდიდარი პრაქტიკული სკოლა.

სუვოროვმა „გამარჯვების მეცნიერების“ არსი შემდეგ სამ სიტყვაში გამოხატა „თვალზომა, სისწრაფე, შეტევა“, რაც ნიშნავდა: „როგორ დაბანაკდე, როგორ იარო მწყობრში, როგორ სდიო და ურტყა მოწინააღმდეგებს“. სუვოროვი აღნიშნავდა, რომ თვალზომა აუცილებელია იმისათვის, რომ „შეარჩიო ადგილი, განსაზღვრო მოწინააღმდეგის ძალა და გამოიცნო მისი ჩანაფიქრი“. სარდალს უნდა შესწევდეს უნარი ერთი შეხედვით შეარჩიოს ხელსაყრელი პოზიცია, მიახლოებით მაინც დაადგინოს მოწინააღმდეგის რიცხვი და ძალა, დაადგინოს ბრძოლის დრო და ადგილი, გაერკვეს შექმნილ ვითარებაში და მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

ყველა ომი, რომელშიც ბაგრატიონს მიუღია მონაწილეობა, ადასტურებს, რომ მას შესანიშნავად შეუთვისებია „გამარჯვების მეცნიერების“ ეს ელემენტი. ამის ნათელი მაგალითია ბრწყინვალედ ჩატარებული ბრძოლები შენგრაბენთან (1805) და პრეისიშ-აილაუსთან (1807). მნელია წარმოიდგინო უფრო რთული ვითარება, ვიდრე შენგრაბენთან, მაგრამ უფრო მნელია უკეთესი გადაწყვეტილების მიღება, ვიდრე ის, რომელიც ბაგრატიონმა მიიღო თავის მცირერიცხოვანი რაზმით მტრის 30-ათასიანი ჯარის ალყის გარღვევისას.

სუვოროვის მოძღვრების მეორე უმნიშვნელოვანესი ელემენტი – სისწრაფე და თავდასხმის მოულოდნელობაა. „მტერს ჰერია, რომ შენ 200-300 ვერსის იქითა ხარ, შენ კი ნაბიჯს აუჩქარე ორჯერ, სამჯერ, და მოულოდნელად, სწრაფად ეცი. მოწინააღმდეგე გელოდება მინდვრიდან, შენ კი ციცაბო მთებიდან, უღრანი ტყეებიდან დაესხი თავს, შეავიწროვე, ურტყი, სდიე, გონს მოსვლა არ აცალო,“ – წერდა სუვოროვი. იგი ხშირად იმეორებდა: „ერთი წუთი გამარჯვების მომტანია“. ბაგრატიონს კარგად ახსოვდა ოსტატის ეს დარიგება და ხშირად მიმართავდა მას. ამას ნათლად ადასტურებს მისი მოქმედება 1812 წლის საომარ კამპანიაში. როგორც ცნობილია, ბაგრატიონის და ბარკლაი-დე-ტოლის არმიების გაერთიანებისათვის ხელის შესაშლელად და მათი ცალ-ცალკე განადგურების მიზნით, ნაპოლეონმა მეორე (ბაგრატიონის) არმიას დაადევნა 136-ათასკაციანი ჯარი, რომელიც სამჯერ სჭარბობდა ბაგრატიონის ძალებს. მეორე არმიის ალყის შემორტყმა და მისი განადგურება ფრანგმა იმპერატორმა მიანდო თავის საუკეთესო მარშლებს: დავუსა და მიურატს. უაღრესად მძიმე პირობებში, წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვით, ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, ბაგრატიონის არმია ხშირად დღეში 50 ვერსს გადიოდა. გენერალი მოხერხებულად იყენებდა ბუნებრივ პირობებს, ხშირად იცვლიდა მიმართულებას, აბნევდა მტერს და აიძულებდა მას შეეცვალა წინასწარ დასახული გეგმა. დავუცა და მიურატიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ალყას შემოარტყამდნენ და გაანადგურებდნენ ბაგრატიონს, ვიდრე იგი დნეპრს გადალახავდა და მის მარცხენა ნაპირზე ბარკლაის არმიას შეუერთდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბაგრატიონმა სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, შეცვალა არმიის მოძრაობის მიმართულება და გადალახა დნეპრი ნოვობიხოვთან და არა მოგილიოვთან, სადაც მას მტერი ელოდებოდა. ამ მოულოდნელი მანევრით ბაგრატიონმა მტერი დააბნია, გადალახა დნეპრი, არმია იხსნა განადგურებისაგან და უზრუნველყო მისი შეერთება ბარკლაისთან.

როდესაც ბაგრატიონი ანალიზს უკეთებდა არმიის მიერ განვლილ გზას ვოლკოვისკიდან დნეპრის მარცხენა ნაპირამდე, იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ჯარისკაცთა და ოფიცერთა სიმამაცე, გადასვლის სისწრაფე, თავის დაღწევა სამჯერ ჭარბი მოწინააღმდეგისაგან – თვით სუვოროვის აღტაცებას და გაკვირვებას გამოიწვევდა.

და ბოლოს, „გამარჯვების მეცნიერების“ მესამე ელემენტი – შეტევა. თავად სუვოროვი შეტევითი ომის დიდი ოსტატი იყო და უკანდახევას, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, არ სცნობდა. „ნაბიჯი უკან სიკვდილია, წინ ნება გაქვს ორი, სამი და ათი ნაბიჯი გადადგა“, – ამბობდა დიდი სარდალი. მისი აზრით, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია შიში. „ვინც შეშინდა, იგი ნახევრად დამარცხდა. შიშს დიდი თვალები აქვს, ერთი ათად მოგეჩვენება, – წერდა სუვოროვი. ამიტომ თავის მოძღვრებაში იგი ამბობს, რომ „ჯარისკაცი უნდა იყოს ჯანმრთელი, მამაცი, მტკიცე, შეუპოვარი“. ეს თვისებები ბაგრატიონს თან სდევდა მთელი ცხოვრების მანძილზე. მის ამ თვისებებზე უთითებდა ყველა, ვინც კი მას იცნობდა, ვისაც მასთან უომია. „უშიშარია ბრძოლაში, საფრთხისადმი გულგრილი... ერთგულია დაწყებული საქმის, მტკიცეა მის შესრულებაში,“ – წერს ბაგრატიონზე გენერალი ერმოლოვი. მისი სიმამაცე ლეგენდარული იყო. არავითარი საფრთხე არ აშინებდა. ყველაზე მძიმე წუთებში სულის სიმშვიდეს არ კარგავდა. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიყვანოთ იმდროინდელი ანეკდოტი. ერთხელ მისი ადიუტანტი დენის დავიდოვი გამოცხადდა მასთან და უპატაკა, რომ „მოწინააღმდეგე ცხვირწინაა“. იგი ფიქრობდა, რომ ასეთი გამოთქმა იმოქმედებდა გენერალზე. ბაგრატიონი, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა ვითარების სირთულეს, ჯარში პანიკის ასაცილებლად, მიუბრუნდა და მშვიდად უპასუხა ადიუტანტს „ახლა კი დასადგენია ვისი ცხვირის წინაა: თუ შენი ცხვირისა, მაშინ დაყოვნება არ შეიძლება, უნდა ავჩქარდეთ, ხოლო თუ ჩემი ცხვირის წინაა, მაშინ ჯერ კიდევ დიდი დრო გვქონია“ (ცნობილია, რომ ბაგრატიონს დიდი, კეხიანი ცხვირი ჰქონდა). დავიდოვს გაუკვირდა ასეთი პასუხი, მაგრამ იფიქრა, რომ მდგომარეობა არც ისე სერიოზულია და დამშვიდდა.

ჯარისკაცები, რომელთაც ოდესმე ბაგრატიონის ხელქვეით უმსახურიათ, აღფრთვანებულნი იყვნენ მისი უშიშრობით და ვაჟკაცობით. იგი იყო მათოვის გამბედაობისა და შეუპოვრობის მაგალითი. ისინი მზად იყვნენ მისთვის თავი გაეწირათ. ამ მხრივ ძალზე მრავლისმეტყველია ეკატერინოსლავის კირასირთა პოლკის უნტერ-ოფიცრის – ანდრიანოვის შემთხვევა. ბოროდინოს ბრძოლაში ანდრიანოვი ბაგრატიონთან იყო და ატარებდა მის ჭოვრიტს, რუკებსა და სხვა საჭირო ნივთებს. იგი ყველა კრიტიკული სიტუაციის მოწმე იყო, ბრძოლაში ჩაბმა სწყუროდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც მან დაინახა სასიკვდილოდ დაჭრილი სარდალი, მოწიწებით მიუახლოვდა და მიმართა: „თქვენო ბრწყინვალებავ! ჩვენი პოლკი ორჯერ შეება მტერს, თქვენ სამკურნალოდ მიჰყავხართ. დამრთეთ ნება შევუერთდე ჩემს ამხანაგებს, იმედი მაქვს რამდენიმე ფრანგს ავკუწავ“. სარდალმა დააკმაყოფილა უნტერ-ოფიცრის თხოვნა, რომელიც გმირულად იბრძოდა და გმირულად

დაიღუპა კიდეც. ჯარისკაცებს ყოველთვის ახსოვდათ, რომ ისინი იბრძოდნენ ლეგენდარული გმირის გვერდით, რომლის პირადი ვაჟკაცობა მათი გმირობის მასაზრდოებელი იყო.

სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონის ლექსიკონიდან ამოღებული იყო გამოთქმები: „არ ვიცი“, „არ შემიძლია“. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას უარი ეთქვას რომელიმე ოპერაციაზე, რაოდენ რთული და სახიფათოც უნდა ყოფილიყო იგი, თუ ამას საბრძოლო ინტერესები ითხოვდა. იგი უყოფანოდ თანხმდებოდა, ერთი შეხედვით, განწირული ოპერაციის განხორციელებაზეც. ამის საუცხოვო მაგალითია ისევ და ისევ ბრძოლა შენგრაბენთან. კუტუზოვმა ბაგრატიონს დაუსახა მეტად რთული ამოცანა. მას ჯარის მცირე შენაერთით (6 ათას კაცამდე) უნდა შეეჩერებინა ფრანგების 30 ათასიანი არმია ნაპოლეონის საუკეთესო მარშლების მეთაურობით. ამ არმიის მიზანი იყო ზელი შეეშალა კუტუზოვისათვის გაერთიანებულიყო რუსეთიდან მომავალ ჯართან. ნაპოლეონი ცდილობდა, რომ ბრძოლა ჩაეტარებინა რუსთა ძალების შეერთებამდე. კუტუზოვი, რომელიც ანგარიშს უწევდა მტრის დიდ რიცხობრივ უპირატესობას, თავს არიდებდა ამ ბრძოლას მაშველი ძალების მოსვლამდე, ამიტომ მას უკან უნდა დაეხია. უკანდახვის დროს მთავარი ძალების დაცვა ბაგრატიონის რაზმს დაეკისრა. ამ ამოცანის შესრულება რაზმის უეჭველ დაღუპვას ნიშნავდა. ამის შესახებ კუტუზოვი წერდა იმპერატორ ალექსანდრეს, რომ იგი „სწირავს ნაწილს მთელის გადასარჩენად“. იცოდა თუ არა ბაგრატიონმა სად აგზავნიდნენ მას? ესმოდათ თუ არა მის მებრძოლებს, რომ ისინი განწირულები იყვნენ? ამ კითხვებს პასუხობს კამპანიის მონაწილე ნოროვი, რომელიც წერს: „გენერლიდან ჯარისკაცამდე ყველამ იცოდა ამის შესახებ, ხოლო ბაგრატიონი ბრძოლისწინა თათბირზე თავის ოფიცრებთან ერთად სიკვდილს პირდაპირ თვალებში უყურებდა“. ეს დავალება მან ბრწყინვალედ შეასრულა. კუტუზოვს უსაზღვროდ გაუხარდა ბაგრატიონის დაბრუნება, ამავე დროს ძალიან გაკვირვებულიც დარჩა, არც უკითხავს არაფერი. ერთი კი თქვა: „შენი დაბრუნება სავსებით საკმარისი პასუხია ჩემთვის“. ნოროვის თქმით, ბაგრატიონმა ამ გამარჯვებით „ააგო მონუმენტი, რომელსაც სამხედრო ისტორია მარადის შეინახავს“.

სუვოროვის მსგავსად, ბაგრატიონიც ვერ იტანდა გამოთქმას „არ შემიძლია“. რუსეთ-შვედეთის ომის დროს (1808-1809), რომელსაც ხშირად რუსეთ-ფინეთის ომს უწოდებენ, ვინაიდან საომარი მოქმედება უმთავრესად ფინეთის ტერიტორიაზე და ფინეთისათვის მიმდინარეობდა, ოპერატიული გეგმით გათვალისწინებული იყო გაყინული ბიცინის ყურის გადალახვა და ალდანის კუნძულების დაპყრობა. ისეთი ცნობილი სამხედრო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ კნორინგი, ბარკლაი-დე-ტოლი, გრაფი შუვალოვი, იმპერატორს დაბეჯითებით უმტკიცებდნენ გადასვლის შეუძლებლობას. მდგომარეობის შესასწავლად, ადგილზე გაგზავნილი იყო გრაფი არაკჩევი, როდესაც მან ყველა გენერლისაგან უარყოფითი პასუხი მიიღო, ბაგრატიონის აზრი იკითხა. პასუხი ორსიტყვიანი იყო: „გვიბრძანეთ – წავალთ“. ცნობილია, რომ ეს ოპერაციაც ბაგრატიონმა ბრწყინვალედ განახორციელა.

ბაგრატიონის ერთ-ერთი დიდი მხედართმთავრული თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი შესანიშნავად უხამებდა თავის მოქმედებებს შექმნილ ვითარებას და საჭიროების შემთხვევაში შეტევას უკანდახევითაც ცვლიდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მისი წერილი არაკჩევისადმი, დათარიღებული 1809 წლის 22 ნოემბრით, რომელშიც იგი, თურქეთის წინააღმდეგ მოქმედი რუსეთის არმიის მთავარსარდალი, ხსნიდა დროებითი უკანდახევის მიზეზებს. „უკანასკნელ დროს, – წერს ბაგრატიონი – არა მარტო, ნაწილების უფროსები იტყობინებოდნენ, არამედ თავადაც დავრწმუნდით, განსაკუთრებით ტატარიცასთან ბრძოლაში, რომ კავალერიის და არტილერიის ცხენები საკვების სიმცირის გამო ისე დაუძლურდნენ, რომ მათ არაფრით არ შეეძლოთ წარმატებით მოქმედება – აი, ძირითადი მიზეზი ჩემი უკანდახევისა. მთელი ჩემი ადრინდელი სამსახური, ვფიქრობ, გამოდგება იმის მტკიცებად, რომ მე მხდალი არა ვარ, მაგრამ უაზრო გამბედაობა მიმაჩნია მხედართმთავრისთვის დიდ ცოდვად“.

სუვოროვი „გამარჯვების მეცნიერებაში“ ამბობს, რომ ოფიცერი და სარდალი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ ჯარისკაცის ჯანმთელობაზე, ფიქრობდნენ მის ჭირ-ვარამზე. ოფიცერი ჯარისკაცის მბრძანებელიც უნდა იყოს და გულწრფელი მეგობარიც. თამამად შეიძლება ითქვას, სუვოროვისა და კუტუზოვის შემდეგ რუსეთის არმიაში არასდროს არ ყოფილა სხვა გენერალი, რომელსაც ისეთი სიყვარული დაემსახურებინოს, როგორიც დაიმსახურა ბაგრატიონმა. იგი უყვარდათ არა მხოლოდ იმიტომ, რომ შესანიშნავი სარდალი იყო და მასთან ბრძოლაში ყოფნა გამარჯვებას ნიშნავდა, არამედ იმისთვისაც, რომ იგი ჯარისკაცის ნამდვილი მეგობარი იყო. არც ისე დიდი ხანია, რაც ნაპოვნი იქნა ბაგრატიონის ერთ-ერთი ბრძანება, რომელიც მან გასცა დუნაის (თურქეთის) ფრონტზე 1809 წელს. ამ ბრძანებით იგი ავალდებულებს ნაწილების მეთაურებს გამუდმებით იზრუნონ „დაბალი ჩინების ჯანმრთელობაზე, რომელიც ეგზომ საჭირონი არიან ქვეყნისათვის და იმსახურებენ მამობრივ მზრუნველობას“. იმავე ბრძანებაში ნათქვამია, რომ ყოველი უფროსი უნდა ცდილობდეს დაიმსახუროს თავისი ხელქვეითების სიყვარული და პატივისცემა, არ თაკილობდეს მათ, როგორც თანამშრომლებს, რომლებთანაც იყოფს დიდებას. ერთი სიტყვით, უფროსი უნდა იყოს ხელქვეითისთვის, როგორც ღვიძლი მამა“.

იშვიათად მოიძებნება რომელიმე მხედართმთავარი, რომელიც ბაგრატიონზე უფრო მეტად აჩვევდა ხელქვეითებს მოთმინებას, სიძნელეების გადალახვას. იგი ზრუნავდა არმიის ჯარისკაცებზე. ამას ადასტურებს მისი წერილი გრაფ არაკჩევისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „არაფერს არ ვიშურებ მათთვის (ჯარისკაცისათვის); უკანასკნელი კაპიკით ჩემს ერთგულებს ვასმევ, ვაჭმევ, ვახალისებ ჩინებული სამსახურისათვის... უმჯობესია მოვკვდე, ვიდრე ექსტრაორდინალური თანხა შევჭამო. მოვკვდე პატიოსნად, მაგრამ შიშველი“. ამავე დროს ბაგრატიონი ძალზე მკაცრი იყო და ყველასაგან სამხედრო დისციპლინის დაცვას მოითხოვდა. ამ მხრივ საინტერესოა მისი ორი ბრძანება. მათგან პირველი ეხება ჯარში საშიში სენის – ლოთობის გავრცელებას. მეორე კი – ჯარში უმიზეზოდ თოფების გასროლას. ბრძანებაში საუბარია

დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე, კერძოდ კი, დეზერტირობასა და სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევებზე. იგი ნათლად გვიჩვენებს სარდლის შეურიგებლობას სამხედრო დისციპლინის ნებისმიერი დარღვევისადმი და გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომელსაც იყენებდა ბაგრატიონი ხელქვეითთა აღსაზრდელად. იგი იყო არა მარტო ბრწყინვალე მხედართმთავარი, არამედ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდებული აღმზრდელიც. ბაგრატიონი არ ეთანხმებოდა იმათ, ვისაც დისციპლინის ამაღლების ერთადერთ და საუკეთესო საშუალებად როზგები და მკაცრი სასჯელი მიაჩნდა. მისი აზრით, მკაცრი, ზოგჯერ სასტიკი ზომების მიღება საჭიროა, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა საშუალებებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მას მიაჩნდა, რომ სამხედრო პირი (დამოუკიდებლად მისი წოდებისა) პირველ რიგში უნდა დაარწმუნო, რომ მისი საქციელი ცუდია და სამხედრო ეთიკის ნორმების შეუსაბამოა. ასეთი პირი უნდა დაუპირისპირო დისციპლინირებულ და სანიმუშო მებრძოლს და ამით მასში სირცხვილის გრძნობა გამოიწვიო და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც დარწმუნდები, რომ ყოველივე ამას არ მოჰყოლია სასურველი შედეგი, უნდა მიმართო უფრო მკაცრ ზომებს. იმის დასამტკიცებლად, რომ ბაგრატიონი ასე იქცეოდა, მოვიყვანთ მისი მეორე ბრძანების ტექსტს: „ჩვენამდე აღწევს ხმები, რომ ბევრი ბატონი ოფიცერი ყოვლისმოწყალებით ჩემდამი მინდობილი არმიისა ცხოვრობს ბუქარესტში, იასიში და სხვა ადგილებში, ავადმყოფობისა და სხვა საბაბით მხოლოდ სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით. მე არ შემიძლია ვირწმუნო, რომ რუსეთის აზნაურნი, რომელნიც სამშობლოსათვის არა თუ ქონებას, სიცოცხლესაც არ იშურებენ, ასეთი სამარცხვინო ხერხებით ცდილობენ აარიდონ თავი სამსახურს მაშინ, როდესაც ახლანდელ საბრძოლო ოპერაციებში აქვთ დიდი შესაძლებლობები მოიხვეჭონ დიდება, გამოიჩინონ ვაჟკაცობა და მამაცობა და ამით დაამტკიცონ ერთგულება სამსახურისადმი... სამშობლოსადმი. მაგრამ წინააღმდეგ ჩემი იმედისა, თუკი ასეთი ოფიცერები სადმე ცხოვრობენ, მე სრულად ვარ დარწმუნებული, რომ ამის (ბრძანების) მიღებისთანავე გამოცხადდებან მეთაურებთან და თავიანთ საქციელს გამოისყიდან ერთგული სამსახურით“. ამ ბრძანების გაცემისას ბაგრატიონმა იცოდა, რომ აღნიშნული ფაქტი სრული სინამდვილე იყო, მაგრამ ყველაფერი ისე წარმოადგინა, თითქოს მას დაუჯერებლად მიაჩნდა ოფიცრის ასეთი საქციელი სამშობლოს განსაცდელის უამს. ეს დისციპლინის განმტკიცების და ხელქვეითებზე ზემოქმედების საკმაოდ საინტერესო ხერხი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ მიღვომას შედეგი არ მოჰყვებოდა, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა უფრო მკაცრი ზომების მიღებას, რის შესახებაც იმავე ბრძანებაში წერს: „თუკი ამის შემდეგ რომელიმე ოფიცერი ავადმყოფობის, ან სხვა საბაბით არ გამოცხადდება თავის ნაწილში და წინანდებურად აარიდებს თავს სამსახურს, მათ შესახებ პირადად მოვახსენებ ხელმწიფე იმპერატორს, რომ ღირსნი არ არიან იყონ მის სამსახურში და ისინი არა მარტო გაგდებულნი იქნებიან ჯარიდან, არამედ სამშობლოდანაც გაძევებულნი“. მსგავსი ხერხებისა და მეთოდების საშუალებით პეტრე ბაგრატიონი ყოველთვის აღწევდა მიზანს. ამიტომაა, ყველა, ვინც მას

ახლოს იცნობდა, ერთსულოვნად აღნიშნავდა, რომ მასთან სამსახური საპატიო, მაგრამ როული საქმე იყო.

დიდება, წარმატება, ხარისხი, ერთბაშად როდი მოიპოვა ბაგრატიონმა, მან ყოველივე ამას მიაღწია არა სიმდიდრით, არა მეფის სასახლეში სამსახურით, არამედ დაძაბული შრომით, განსაკუთრებული გამბედაობითა და ნიჭით, ბრძოლის ველზე თავდადებითა და უმაგალითო მამაცობით.

იტალია-შვეიცარიის ლაშქრობაში ბაგრატიონის მეურ ჩადენილი საკვირველი საგმირო საქმეებით აღტაცებულმა სუვოროვმა, სამშობლოში დაბრუნებისას უპირველესად ბაგრატიონი წარუდგინა მეფეს, როგორც საუკეთესო გენერალი „რომელიც ღირსი იყო უმაღლესი ჯილდოსი“.

დენის დავიდოვი, რომელიც მთელი 5 წლის განმავლობაში ბაგრატიონის ადიუდანტი იყო, გადმოგვცემს: „საომარი მოქმედების დროს ბაგრატიონი არც დღე და არც ღამე ტანსაცმელს არ იხდიდა; დღე-ღამეში 3 ან 4 საათი ეძინა, მაგრამ თუ ამ დროს მოწინავე სადარაჯო რაზმებიდან რამ ცნობა მოვიდოდა, იგი მყისვე დაურიდებლად უნდა გაეღვიძებინათ. უყვარდა ხელგაშლილი ცხოვრება, ჯარისკაცებში ხშირი გავლა და მათი დასაჩუქრება, თუნდაც უბრალო, მაგრამ გულითადი საჩუქრით. თავისთვის იგი მეტად მცირედით კმაყოფილდებოდა, არ სვამდა არც არაყს, არც ღვინოს. სადილად მის სასმელს შეადგენდა მხოლოდ ორი პატარა ჭიქა ესპანური ღვინო – მაღერა. მისი ტანსაცმელი უბრალო იყო: სამხედრო მუნდირი, მხრებზე კოხტად მოგდებული ნაბადი, თავზე ბუხრის ქუდი და ხელში მათრახი“.

ბაგრატიონს დიდად აფასებდა მისი უპირველესი მოწინააღმდეგე ნაპოლეონიც კი, რომელმაც ბაგრატიონს რუსეთის არმიის „საუკეთესო გენერალი“ უწოდა.

ბაგრატიონის პიროვნების შესახებ, ვ. გლინკა ამბობდა: „უკითხავადაც კი, პირველი დანახვით, შეიძლებოდა მიხვედრილიყავით, რომ იგი წარმოშობით საქართველოს რომელიმე კუთხიდან იყო, შეიძლება გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ბაგრატიონის სამხედრო ხელოვნებაში, ჯარისკაცებში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის გაღვივებას პირველზარისხოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი.“

მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება ის ცნობა, რომ 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში სულ 72 ქართველს მიუღია მონაწილეობა (აქედან ორს მხოლოდ საზღვარგარეთულ ლაშქრობაში), მათ შორის 12 გენერალი ყოფილა (ორი ბაგრატიონი, ორი იაშვილი, ორი ფანჩულიძე, სამი ჯავახიშვილი, სიმონ განგებლიშვილი, ანტონ შალიკაშვილი და პავლე ბიბილური). სინამდვილეში, ომის მონაწილეთა რიცხვი, რა თქმა უნდა, მეტი იყო, კერძოდ, რიგითი მებრძოლების რაოდენობა, მაგრამ მათი საქმიანობის აღნუსხვით მაშინ არავინ იყო დაინტერესებული.

1812 წლის რუსეთის სამამულო ომში მონაწილე ქართველთა სრული სის შედგენა არა მარტო ძნელია, არამედ თითქმის შეუძლებელიც. ეს ეხება განსაკუთრებით რიგით მებრძოლებს, რომელთა შესახებ ცნობები ძალიან მწირია. მდგომარეობას რამდენადმე ასწორებს საქართველოს უკანასკნელი მეფის

გიორგი XII შვილი ბაგრატი, რომელმაც შეადგინა ომის მონაწილე ქართველების მიახლოებითი სია, რითაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში. ომის მონაწილეთა დასახელებისას, ზოგ შემთხვევაში, უთითებს სამხედრო წოდებებს და გვაწვდის ლაკონურ ცნობებს მათ შესახებ. მოგვყავს ეს სია ბაგრატის მიერ მიღებული თანმიმდევრობით:

ბატონიშვილი ილია, გიორგი XII-ძე ლეიბ-ეგერთა პოლკის ოფიცერი; ბატონიშვილი კონსტანტინე, დავით იმერთა მეფის ძე „ყაზახის პოლკის კაპიტანი“ და იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი, სახელოვნად იბრძოდა ბოროდინოს ველზე; ბაგრატიონი პეტრე იოანეს ძე, თავადი, მრავალი ბრძოლის მონაწილე, მოკლეს ფრანგებმა ბოროდინოს ველზე, გენერალ-მაიორი; ბიბილური პავლე სერგოს ძე, ბოროდინოს ველზე ბრძოლის დროს დაბრმავდა; შახნავაზიანი პეტრე იაკობის ძე, თავადი, გვარდიის კაპიტანი, დაიღუპა ბოროდინოს ველზე ბრძოლის დროს; ბაგრატიონი რევაზ იოანეს ძე, თავადი, პოლკოვნიკი; ესტატე თეიმურაზის ძე ჯავახიშვილი, თავადი, გუსართა პოლკის ოფიცერი; აბუმელიკოვი დავითი, თავადი, ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკის პოლკოვნიკი; ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე, თავადი; იაშვილი ლევანი, თავადი, არტილერიის გენერალი; ჩოლოყაშვილი ფლორე დურმიშხანის ძე, თავადი; ქართველიშვილი ზაქარია იოსების ძე და სხვა. ბაგრატის სიით 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 37 ქართველს, 10 სომეხს, ერთ ლეპს და ერთ ოსს მიუღია მონაწილეობა. მაგრამ სხვა მასალების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ეს სია სრული არ არის. ბაგრატის სიაში არ არიან შეტანილნი, მმები ფანჩულიძები, რომელთა მონაწილეობა 1812 წლის ომში დადასტურებულია. ერთი მათგანია გენერალ-ლეიტენანტი ივანე დავითის ძე (1759-1815), ხოლო მეორე გენერალ-მაიორი სიმონ დავითის ძე (1764-1818), ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის იმპერიის ყველა ომში. მმებ ფანჩულიძებსაც არაერთხელ უომიათ სუვოროვისა და კუტუზოვის უშუალო ხელმძღვანელობით. საერთოდ, იმდროინდელ რუსეთში ეს გვარი მეტად პოპულარული ჩანს წერს ი. ანთელავა თავის წიგნში „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“.

ბატონიშვილს უყურადღებოდ დაუტოვებია ჯავახიშვილთა გვარის ოთხი წარმომადგენელი: ივანე სიმონის ძე ჯავახიშვილი, სიმონ სიმონის ძე ჯავახიშვილი (სასიკვდილოდ დაჭრილა 1812 წლის სამამულო ომში), ფილიპე სიმონის ძე ჯავახიშვილი, (გენერალ-მაიორის წოდებას ატარებდა), ნიკოლოზ გიორგის ძე ჯავახიშვილი (ლეიბ-გვარდიის ლიტვის პოლკის პრაპორშჩიკი). ბაგრატის სიაში არ ჩანს მეფე ბაქარის შვილიშვილი, კაპიტანი პეტრე იაკობის ძე, რომელიც ბოროდინოს ველზე დაიღუპა. ბაგრატს გამორჩენია აგრეთვე ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი ოთხი ძმა გედევანიშვილი: ერთი კაპიტანი, ორი პოლუჩიკი და ერთი პრაპორშჩიკი. თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს გამოდის, რომ 1812 წლის რუსეთის სამამულო ომში 70 ქართველს მიუღია მონაწილეობა (აქედან ორს მხოლოდ საზღვარგარეთულ ლაშქრობაში).

ომის მონაწილეთა შორის ჩვენ ვხვდებით როგორც არისტოკრატიის, ისე საზოგადოების დაბალი წრის – გლეხობის წარმომადგენლებსაც. ჩნდება კითხვა:

როდის და რა ვითარებაში მოხვდნენ ისინი რუსეთში? ჩანს, მათი ერთი ნაწილი რუსეთში დაბადებულა. სამამულო ომის ისეთი თვალსაჩინო მონაწილეთა წინაპრები, როგორებიც იყვნენ განგებლიშვილი, ბიბილური, შალიკაშვილი, ბარათაშვილი, ერისთავი, ფანჩულიძეები, ჯავახიშვილები რუსეთში ჯერ კიდევ 1724 წელს აღმოჩნდნენ, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსესთან ერთად.

ქართველ სამხედრო მოღვაწეთა მეორე ჯგუფი რუსეთში 1801 წლის შემდეგ გაჩნდა. ამ წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1812 წლამდე ალექსანდრე პირველის მთავრობამ სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი გადაასახლა სამშობლოდან. იმის შიშით, რომ მათ კვლავ არ დაეწყოთ სამეფო ტახტისათვის ბრძოლა. მათთან იყო თანმხლები ამალა, რომელშიც მომავალი სამამულო ომის ზოგიერთი მონაწილეც ყოფილა. მაგალითად, დედოფალ მარიამს თან ახლდა ვაჟიშვილი, ილია გიორგის ძე, რომელიც პირველადაა მოხსენიებული ბატონიშვილი ბაგრატის სიაში. ომის მეორე მონაწილე იოსებ გაბაშვილი რუსეთში 1803 წელს მოხვდა, როგორც ბატონიშვილის ამალის წევრი. ასეთია ქართველ მოღვაწეთა რუსეთის სამხედრო ასპარეზზე გამოჩენის ძირითადი გზა.

ჩვენს ქვეყანაში დიდი პატივისცემით ინახავენ 1812 წლის ომის გმირთა სახელებს, რომელთა შორის, საერთო აღიარებით, პირველი ადგილი სამართლიანად უკავია პ. ბაგრატიონს.

პეტრე ბაგრატიონის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ არსებული მასალების შესწავლისას, გაირკვა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ბრალს სდებს ექიმებს დაუდევრობაში, რამაც მათი აზრით, ხელი შეუწყო პეტრე ბაგრატიონის დაღუპვას. შესაძლო იყო თუ არა მისი გადარჩენა? არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, რომ ეს ვარაუდი სიმართლედ მივიჩნიოთ. ოფიციალურ „სამედიცინო ანგარიშში“ ისეთი აზრია გატარებული, თითქოს ექიმებმა ყველაფერი იღონეს, მაგრამ მხედართმთავრის სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. თითქოს ექიმების რჩევა-დარიგებას ავადმყოფი არ იღებდა, ამასთან, სხვადასხვა დაავადებებმა ისე დაასუსტეს და გამოფიტეს პეტრეს ორგანიზმი, რომ ჭრილობის მორჩენის არავითარი იმედი აღარ იყო და ა.შ.

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ მასალათა ავტორები კი ამტკიცებენ, რომ პირიქით, ბაგრატიონის გამოწროთობილი ორგანიზმი ამტანი იყო და ჯანმრთელობას იგი არ უჩიოდა: რომ „ქირურგიულ მკურნალობაში შეცდომები დაშვებული იქნა დაჭრის პირველივე დღიდან და მკურნალობა რომ სწორად წარმართულიყო, შესაძლებელი იყო მხედართმთავრის გადარჩენა“.

ა. მალიშევი და ე. ლოგინოვა არასწორ მკურნალობაში დამნაშავედ სამართლიანად თვლიან ექიმ ვილეს. აღნიშნული მკვლევარები ქირურგიულ ჩარევაში სრულიად არ გულისხმობენ დაჭრილი ფეხის ამპუტაციას. მათი მტკიცებით, ასეთი ღონისძიების აცილება შესაძლებელი იყო ორგანიზმიდან ჭურვის ნაშისვრევების დროულად ამოღებისა და თვით ავადმყოფის ტრანსპორტირების სათანადო წესების დაცვის შედეგად.

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. პეტროვის აზრით: „ზედმეტია ლაპარაკი, პირველ დღეებში ფეხის ამპუტაციაზე, ვინაიდან ცეცხლმსროლელი იარაღით მიყენებული ჭრილობა, მომაკვდინებელი არ იყო“.

ის ფაქტი, რომ ჭრილობა 13 დღის განმავლობაში სათანადოდ შესწავლილი არ იყო, თავისთავად ყველაფერზე მეტყველებს. ხოლო როდესაც დაგვიანებით ჭრილობიდან ამოიღეს ჭურვის ნამსხვრევები, დამსხვრეული ძვლის ნაწილები, ტანსაცმლის ნაფლეთები და ა. შ. გასაგები გახდა ინფექციის წყარო. „სამედიცინო ანგარიშში“ ექიმები თავს იმართლებდნენ იმით, რომ ოპერაციის გაკეთების საშუალება ავადმყოფის ევაკუაციის ბოლო პუნქტამდე არ იყო. მაგრამ ცნობილია, რომ ავადმყოფი მოსკოვში ორ დღეს შეაჩერეს და ოპერაციაც მოესწრებოდა. მოხდა პირიქით, ექიმები ბაგრატიონს ეთანხმებოდნენ სიმში ნაჩეარევად გადაყვანაზე. იქ კი ოპერაცია დაგვიანებული აღმოჩნდა.

ამიტომ, ბუნებრივია, პ. ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ, ექიმებმა ისეთი დოკუმენტი შეადგინეს, როგორც „სამედიცინო ანგარიშია“, რომლითაც საზოგადოებას და მთავრობას არწმუნებდნენ ავადმყოფის მკურნალობის სისწორეში. ანალოგიური აზრია გატარებული ი. გოვოროვის ნაშრომშიც. მასალების გაცნობა ცხადყოფს, რომ პ. ბაგრატიონი ექიმთა უფრადღებობისა და დაუდევრობის მსხვერპლი გახდა. როგორ შეიძლება სხვამხრივ ავხსნათ ექიმი ი. გოვოროვის განცხადება, როდესაც იგი სიმში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ წერს: „გულწრფელად ვაღიარებ, რომ ძვლისა და სხვა ნაწილების ასე დაზიანებას არავითარ შემთხვევაში არ ველოდი“.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, განზრახ ხომ არ შეუწყვეს ხელი ბაგრატიონის დაღუპვას? ვფიქრობთ, არც ესაა გამორიცხული, რადგან ბაგრატიონის ესოდენ დიდი ავტორიტეტი სრულიად მიუღებელი იყო იმ დროის სამხედრო თუ სახელმწიფო მოღვაწეთა ნაწილისათვის.

ვფიქრობთ, გარეგნულად, კარგი ურთიერთობის მიუხედავად, არც იმპერატორი იქნებოდა ესოდენ სახელოვანი სარდლის მოცილების წინააღმდეგი, რადგან მას აწუხებდა მისი დისა და პეტრეს ურთიერთობის ამბავი. პეტრეს გარდაცვალების შემდეგ, მეფემ სპეციალური კომისია გააგზავნა სიმში პეტრეს წერილების გასარჩევად. ალექსანდრე I-ს განსაკუთრებით აინტერესებდა მისი დის ეკატერინეს წერილები პეტრესადმი, რათა სამეფო კარი „არ გალანძღულიყო“. ბაგრატიონის პირად საქმეთა განმგებლის, გენერალ-ლეიტენანტ ს. სოლოლაშვილის<sup>13</sup> განცხადებით, ეს წერილები, რომლებიც მეფეს ასე აწუხებდა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თვით პეტრემ დაწვა, მაგრამ ეკატერინესა და პეტრეს ურთიერთობის დამადასტურებელი ნივთი მაინც გადარჩა. პ. ბაგრატიონის საველე ყუთში, რომელიც მას მუდამ თან დაპქონდა აღმოჩნდა თამბაქოს კოლოფი. მის მოოქროვილ გარეკანზე გამოსახული იყო ეკატერინე ჰავლეს ასული, რომელიც ქართველი თავადით იყო გატაცებული. იმავე ყუთში აღმოჩნდა ორდენები, რომლებიც სახელოვანი მხედართმთავრის გულმკერდს ამშვენებდნენ: რუსეთის წმ. ანდრია პირველწოდებულის, წმინდა ალექსანდრე ნეველის პირველი ხარისხის, წმ. გიორგის მეორე კლასის, წმინდა ვლადიმირისა და ანას პირველი ხარისხის, იოანე იერუსალიმელის ორდენები, ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის“, რამდენიმე მედალი და ღერბიანი ბეჭედი, ასევე უცხოური ორდენები: რომის სამეფო უმაღლესობის, წმ. ლაზარეს და მავრიკის დიდი ჯვრები, ავსტრიის

მარია ტერეზას დიდი ჯვარი, პრუსიის შავი და წითელი არწივების ორდენები. ბოროდინოს ბრძოლის შემდეგ მას ელოდა ყველა უმაღლესი ჯილდო, მაგრამ სამწუხაროდ, დაღუპულთა დაჯილდოვება მაშინ არ ხდებოდა.

სამწუხაროდ, მიუხედავად ქართველთა თავდადებისა და ერთგულებისა, ქართველი გმირები მაინც მიუღებელ პირებად რჩებოდნენ მეფის რუსეთისათვის. რუსული შოვინიზმის გამოვლინება თავს იჩენს არა მარტო მეფის რუსეთის დროს (ბაგრატიონის უდროო დაღუპვა), არამედ საბჭოთა პერიოდშიც, როდესაც აფეთქებულ იქნა პეტრეს საფლავი (1969 წელი). უნდა ვაღიაროთ, რომ ყველანაირი (მეფის თუ საბჭოთა) რუსეთისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი გენერლის თავდადება. ამ სახელოვანი გენერლის ბედი ალბათ იმის კარგი დასტურია, რომ ყველა ქართველი, ვინც რუსეთს ერთგულად ემსახურა, ბოლოს მაინც განწირული აღმოჩნდა, და ისე დაისაჯა, როგორც პეტრე ბაგრატიონი.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბაგრატიონი თავის სამშობლოს კი არა, მის დამპყრობლებს ემსახურებოდა თავდაუზოგავად, რაც სამწუხაროდ, ზოგადად, მრავალი ქართველის ხვედრია...



პეტრე ბაგრატიონი

ისეიმ ველუნდერ  
ახა თანა ქადა კურა.  
ვთის სულხა ჭავა ას.


პეტრე ბაგრატიონის ფაქსიმილე



გოლიცინების სახლი სოფელ სიმში,  
სადაც გარდაიცვალა პ. ბაგრატიონი

В ЭТОМ ЗДАНИИ В 1812 г.  
УМЕР ВЕЛИКИЙ ПОЛКОВОДЕЦ  
ГЕРОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОИНЫ  
ГЛАВНОКОМАНДУЮЩИЙ  
ВТОРОЙ ЗАПАДНОЙ АРМИЕЙ  
**БАГРАТИОН  
ПЕТР ИВАНОВИЧ**

წარწერა გოლიცინების სახლზე  
სოფ. სიმში, სადაც გარდაიცვალა  
პეტრე ბაგრატიონი



პეტრე ბაგრატიონის საფლავი  
ბოროდინოს ველზე



პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812)



პბავრატიონის ძეგლი ორთაჭალაში




პ.ბაგრატიონის მეუღლე ე.სკავრონსკაია



ანა გრუჟინსკაია-ზოლოუკინა

პავლი გრინი  
მამის  
ივანეს, საფლავი  
ვსევიაზე კოებ  
ეკლესიის ეზოში



წარწერა  
პავლი გრინი  
მამის ძევლზე,  
რომელიც თვით  
პეტრემ აუგო





რომან ბაგრატიონი – პეტრეს ძმა

## პირთა განმარტებითი ლექსიკონი:

1. **სუვოროვი ალექსანდრე** ვასილის ძე (1730-1800) დიდი რუსი მხედართმთავარი, XVIII ს. მეორე ნახევრის, თითქმის ყველა ომის მონაწილე. სამხედრო თეორიტიკოსი, მოწინავე სამხედრო ხელოვნების წარმომადგენელი. 1799 წელს იტალია-შვეიცარიის ლაშქრობის დროს მოკავშირეთა არმიის მთავარსარდალი, რუსეთის არმიის გენერალისიმუსი.
2. **კუტუზოვი მიხეილ** ილარიონის ძე (1745-1813) გენერალ-ფელდმარშალი. 1777 წელს თურქეთთან ომში დაკარგა თვალი. მრავალი ომისა და ბრძოლის მონაწილე. 1805-1807 წლების კამპანიაში რუსეთის არმიის მთავარსარდალი, პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი. 1812 წელს გაერთიანებული არმიების მთავარსარდალი. გარდაიცვალა ქალაქ ბუნკლაუში (პოლონეთი) დაკრძალულია ყაზანის ტაძარში, ქალაქ პეტერბურგში.
3. **ნაპოლეონი** (1768-1821) საფრანგეთის იმპერატორი. წარმოშობით კორსიკელი, სამოლვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლა დაკავშირებული იყო საფრანგეთის 1789-1794 წლების რევოლუციასთან, რომელმაც ცხოვრების გზა გაუკაფა. 24 წლისამ ბრიგადის გენერლობა დაიმსახურა. ქ. ტულონის დაცვის დროს კონტრრევოლუციური ძალებისა და ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ ბრძოლებში, რუსეთიდან მისი არმიის განდევნის შემდეგ მიუხედავად რიგი წარმატებისა, 1814 წელს დამარცხდა და გაასახლეს კუნძულ ელბაზე, საიდანაც დაბრუნების შემდეგ კვლავ იბატონა 100 დღე და ბოლოს ვატერლოს ველზე 1815 წელს დამარცხების შემდეგ გაასახლეს წმ. ელენეს კუნძულზე, იქვე გარდაიცვალა 1821 წელს. 1840 წელს მისი ნეშტი პარიზში გადასვენეს.
4. **მიურატი იოჰან** (1771-1815) ნეაპოლიტანის მეფე, საფრანგეთის მარშალი. 1798 წელს ნაპოლეონის ადიუტანტი, რუსეთზე ლაშქრობის დროს საფრანგეთის არმიის ავანგარდით პირველი შევიდა მოსკოვში.
5. **ბარკლაი-დე-ტოლი მიხეილ** ბოგდახის ძე (1761-1818) წარმოშობით შოტლანდიელი, დაბადებული რიგაში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომებში, 1805-1807 წლის კამპანიაში და რუსეთ-შვეციის ომში, 1809-1810 წელს ფინეთის სამხედრო გუბერნატორი, 1810 წლის დასასრულიდან სამხედრო მინისტრი, 1812 წელს ერთდროულად პირველი არმიის მთავარსარდალი. მოსკოვის დატოვების შემდეგ არმიიდან წავიდა და მინისტრის თანამდებობაც დატოვა. 1813 წელს დაბრუნდა სამხედრო სამსახურის მესამე არმიის მთავარსარდლის თანამდებობაზე. 1809 წელს მიენიჭა ინფანტერიის გენერლის წოდება. 1814 წელს გენერალ-ფელდმარშლის ჩინით აამაღლეს. გარდაიცვალა 1818 წელს.

6. ტორმასოვი ალექსანდრე პეტრეს ძე (1752-1819) გრაფი, კავალერიის გენერალი, 1812 წელს მესამე არმიის მთავარსარდალი. კუტუზოვის გარდაცვალების შემდეგ დროებითი სარდლობა იკისრა. 1812 წლიდან მოსკოვის სამხედრო გუბერნატორი.
7. დავუ ლუი-ნიკოლა (1770-1823) პერცოგი, საფრანგეთის მარშალი ნაპოლეონის არმიის პირველი კორპუსის მეთაური.
8. რაევსკი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1771-1827) სუვოროვის მოწაფე გენერალ-ლეიტენანტი, სამამულო ომის გმირი. 1812 წელს მე-7 კორპუსის მეთაური, თავი ისახელა სმოლენსკის დაცვის დროს. ბოროდინოს ბრძოლაში იცავდა ცენტრალურ ბატარეას, რომელიც მისი სახელით შევიდა ისტორიაში, ბაგრატიონის საუკეთესო მეგობარი.
9. როსტოპჩინი თევდორე ვასილის ძე (1763-1826) ომის დროს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი. მეთაურობდა მოსკოვის გუბერნიის სახალხო ლაშქრის შეკრებას, პ. ბაგრატიონის მეგობარი.
10. ბენიგსენი ლეონტი ლეონტის ძე (1745-1886), კავალერიის გენერალი, ბარონი, ეკატერინე II-სა და ალექსანდრე I-ის ეპოქის ომების მონაწილე; 1806 -1807 წლების კამპანიის დროს რუსეთის არმიის მთავარსარდალი, ბოროდინოს ბრძოლის დროს კუტუზოვის არმიის შტაბის უფროსი.
11. სენ-პრი ემანუელი (1776-1814) გრაფი, რუსეთის არმიის გენერალი, ადიუტანტი, წარმოშობით ფრანგი. 1791 წელს გადმოსახლდა რუსეთში. მონაწილეობდა 1806-1807 წლების, 1812-1814 წლების ბრძოლებში. 1812 წელს მეორე არმიის შტაბის უფროსი, მოკლეს რეიმსთან ბრძოლაში.
12. დავიდოვი დენის ვასილის ძე (1784-1839). 1807-1812 წლებში ბაგრატიონის ერთ-ერთი ადიუტანტი. ახტირკის პუსართა პოლკის პოლკოვნიკი, პარტიზანულ მოძრაობაში რეგულარული არმიის ნაწილებით მოქმედების ერთ-ერთი ორგანიზატორი და მეთაური, პოეტი, სამხედრო ისტორიულ საკითხებზე მრავალი ნაშრომის ავტორი. 1827 წელს რუსეთ-სპარსეთის ომის დროს მონაწილეობდა კავკასიაში გაჩაღებულ ბრძოლებში. იყო გენერალ-ლეიტენანტი.
13. სოლოდაშვილი სიმონ ივანეს ძე – გენერალ-ლეიტენანტი, ერმალოვის ცნობით იგი იყო ქართველ თავადთა ოჯახიდან, 1810-1812 წლებში სამხედრო სამინისტროში ეკავა გენერალ აუდიტორის თანამდებობა. იგი იყო გამოცდილი იურისტი, მრავალი წლის განმავლობაში იყო ბაგრატიონის ნდობით აღჭურვილი პირი, ეხმარებოდა პეტრეს რჩევა-დარიგებებით. ლაშქრობაში გამგზავრებისას პეტრე მას აბარებდა ძვირფას ნივთებსა და საბუთებს.

## **ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი \***

**ავანგარდი** – მეტინავე რაზმი, რომელიც ლაშქრობისა და მოწინააღმდეგის დევნის დროს მთავარ ძალებს იცავს.

**არიერგარდი** – რაზმი, რომელიც მთავარ ძალებს იცავს უკან დახევის დროს.

**ბატალიონი** – ქვეითი ძირითადი ტაქტიკური შენაერთი, რომელიც რამდენიმე ასეულისაგან შედგება.

**გენერალისიმუსი** – უმაღლესი სამხედრო წოდებულება ზოგ ქვეყანაში, ჩვეულებრივ მიეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის დამსახურებისათვის, კერძოდ, სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ძალის ხელმძღვანელობისათვის ომის დროს.

**ეგერი** – მსუბუქი ქვეითი ნაწილი.

**კორპუსი** – ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთი, რომელიც რამდენიმე დივიზიისაგან შედგება.

**ფელდმარშალი** – მეფის რუსეთის, აგრეთვე, ზოგ უცხო ქვეყნის არმიებში გენერლის უმაღლესი ჩინი; ამ ჩინის მქონე პირი იგივეა, რაც გენერალ-ფელდმარშალი.

**ფლეში** – ველზე გამაგრებული ადგილი, რომელიც საგანგებო ოვალურ კუთხეს ქმნის მოწინააღმდეგის მხარეს.

**ჰუსარი** – მეფის რუსეთში და ზოგი ქვეყნის (თავდაპირველად უნგრეთის არმიებში მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი ან ოფიცერი, რომელსაც უნგრული ფორმა ეცვა).

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- ავალიანი გ. — რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თბ., 1967.
- ანთელავა ი. — ქართველები 1812 წლის სამამულო ომში, თბ., 1984.
- ახობაძე მ. — დიდი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1958.
- ბორისოვი ს. — ბაგრატიონი, 1941.
- გვრიტიშვილი დ. — ბაგრატიონის უცნობი წერილები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1944, ტ. I.
- გონიკიშვილი მ. — ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
- გოვოროვი ი. — თავად პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის სიცოცხლის უკანასკნელი დღენი, თბ., 1990.
- კუჭუხიძე ა. — პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1953.
- ლომოური თ. — პეტრე ბაგრატიონი, თბ., 1942.
- მეგრელიძე შ. — ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.
- ნაკაშიძე ნ. — ბოროდინოს გმირი, თბ., 1961.
- ფრონელი ალ. — პეტრე ბაგრატიონი, უურნალი „კლდე“, 1912, №1-10.
- შერვაშიძე ა. — ქართველი მხედრები რუსეთის არმიაში, „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1960; ბაგრატიონის ნაკვალევზე, უურნალი, „დროშა“, 1981, №5.
- ცომაია ს. — ქართველები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში, „განათლება“, თბ., 1915, №1.